



გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ხსკეკარი წლით 3 მ. 50 კახ. თფილის გარეთ ერთი წლით 8 მან., ხსკეკარი წლით 4 მან., სსმი თვით 2 მან., თითო ნომერი—15 კახ. ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში—«წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების» კანცელარიაში და «კვალის» რედაქციაში, სსმი-რის ქუჩაზე, № 35. ტელეფონი № 734. ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція «КВАЛИ».

შინაარსი: ჩვენი ბურჟუა-ინტელიგენცია და მისი იდეოლოგები—გ. მარძადაძისა.—სხვადასხვა ამბები.—კორესპონდენტები.—აქეთური აქითური (ფელეტონი)—ა. მარჯანიძისა.—სსზღვარ-გარეთ.—ამონაკვეთი (დექსი შრომათ)—ა. კვალაძისა.—დექსები დ. თამაშაიძისა და დარია ხუნდაძისა.—უკრნალ-გაზეთებიადას.—შავი-ქვის მრეწველთა შესუთე კრება ქუთაისში—გარეშე მეთვალყურისა.—სსურადღებო კითხვის უკურადღებოთ დატოკება—ს. სემე-ზიდაშვილისა.—წერალები რედ. შამართ.—განცხადებანი.

რედაქციის სპაზი.

წარსული კვირის „კვალი“ № 6 თავის დროზე ვერ გამოვიდა პალიზენის ქალაქის მალაზის დაუდევრობას გამო.

ჩვენი ბურჟუა-ინტელიგენცია და მისი იდეოლოგები.

ქართველი ბურჟუა ინტელიგენცია შეიძლება გაიყოს ორ მთავარ ჯგუფათ: პირველ ჯგუფს შეიცავენ ისინი, რომელნიც თავისთვის ცხოვრობენ, საზოგადო საქმეებში არ ერევიან და თუ გაერივნ ისე უკვანოთ და საძრახისათ, რომ მიშინვე ყველა შეატყობს რა სურთ, რა სწადიან და რა პირადი ანგარიშები ამოძრავებენ. ესენი არც მალავენ თავის ზნე-ხასიათს, ქვეყანას არ აყრუებენ, მოღვაწენი ვარაო და არც რაიმე საზოგადო დაფასებას და სახელს ეძებენ. ისინი პირდაპირ, დაუმალავათ აცხადებენ, ცხოვრება გვინდაო და სადაც უკეთ დაგვკმაყოფილდებით—იქ მოვინახავთ ნავთსაყუდარსო. ამიტომ ესენი ადვილათ საცნობია, მათ შორიდანვე გასქვრეტ და ხელათ გაიგებ ვისთანაც გაქვს საქმე. ამ ჯურის ინტელიგენტებს კაი ხანია იცნობს ჩვენი ხალხი, იცნობს როგორც ვეკილთ, ექიმთ და სხვა საჭირო ხელობის წარმომადგენელთ, რომელთაც თავისი სწავლა უსწავლეღთა გაყვლეფის და თავისთავის გამდიდრების იარაღათ გაუზღიათ. ესენი ძალიან მოძრავი და ფხიზელი არიან; პირადი სარგებლობა ისე ძლიერია მათში, რომ მთელ თავის ენერჯიას კერძო საქმეებს ანდომებენ და თუ სადმე რამის შოვნა კი შეიძლება—ხელიდან არ გაუშვებენ. ამ ჯგუფის ინტელიგენცია თავის ბურჟუაობას სრულიადაც არ ფარავს, პირიქით თავიც კი მოაქვს ამით, აი ამ ცოტა ხანში რამდენი შევიძინეო. ამას არა ყვეს არც იდეოლოგი და არც დამცველი პრესაში. და ამას არც ისინი თხოულობენ, უკრნალ-გაზეთობას აღმაცერათ უყურებენ და ბევრს არც კი მიაჩნია საინტერესოთ „აზრთა სამეფოს“ ამბები. ამ ჯგუფის უნიჭიერეს წარმომადგენელათ უნდა ჩაითვალოს კალ. ჩიკვაიძე, რომლის ხელში კაი ხანს იყო ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკი.

მადა ისეთი აქვს, როგორც პირველს, შეძენას და ნებივრობას ესეც ისე ეტანება, მაგრამ ამასთანავე მასში ბუღობს ეგრეთ წოდებული საზოგადოებრივი თავმოყვარეობა და ეს არ ანებებს პირადი გულისთქმანი აშკარათ გამოაჩვენოს. ამათ ცხოვრების პროგრამა შეიცავს ორ ელემენტს: პირად და საზოგადოებრივ მადას. პირველიდან წარმოდგება სურვილი სიმდიდრისა და ფუფუნების მოხვეჭისა, მეორიდან კი—სურვილი სახელის და პატივის შეძენისა. ამიტომ ესენი ყოველ ღონეს ხმარობენ საზოგადოებას არ ეჩვენონ ისე, როგორც ნამდვილათ არიან. ისანი მუდამ მოღვაწეობაზე და საზოგადო საქმეებზე ლაპარაკობენ, მუდამ ოფის იწურავენ, დავიღლიეთ ქვეყნის სამსახურითო და ამავე დროს ჩინებულათ ეწყობიან საზოგადო ტაბლას და უხვათ ინაწილებენ ხალხის ულუფას. და ასე, ერთი ხელით ორ ნესეს იჭერენ, სახელიც მათია და სახრავიც. ამათი ერთმანეთისაგან დაშორება მათი სიკვდილია; მათი პირდაპირი მიზანი სახრავია, ხოლო საშუალება კი სახელი; თუ ეს უკანასკნელი მოაკლდა, მაშინ ალარავინ არაფერს დაუჯერებს, არავითარ საზოგადო საქმეებს არ ჩააბარებენ და მით იძულებული იქნებიან პირველი ჯგუფის რაზმში გადავიდნენ. ამ ხიუათის თავიდან ასაცდენათ მათ ბევრნაირი ღონისძიება აქვთ მიღებული, ბევრი მახე აქვთ დაგებული. მათ ხელშია გაზეთები, საზოგადო დაწესებულებები და ყველა ამას თავის დასაცავ იარაღათ ხმარობენ. მაგრამ განსაკუთრებით საყურადღებოა მათი „ბრძოლა“ პირველ ჯგუფთან. ისინი იმდენს ყვირიან ამათ უზნებობაზე, იმდენს ხმაურობენ, რომ გვეგონებათ, აი წმიდანები, უამათოთ ამდენ ხანს დაგვამდენო. ეს ძლიერ ხერხიანი ტაქტიკაა, ამით საზოგადოების ყურადღებას აპყრობენ სხვებისაკენ და დროს არ აძლევენ თვით ამ მყვირალთ დაუფიქრდენ და მათი ზნე-ხასიათი გაიგონ. ამათ საშინლათ ეშინათ, ჩვენი სულისკვეთება არ გავიგონო და ცდილობენ პირველი ჯგუფის უარყოფით თავის სისპეტაკეში დაგვარწმუნონ. ესენი იმათ „ინტელიგენტობის“ სახელსაც კი ართმევენ და თვითონ ისაკუთრებენ, ინტელიგენცია ჩვენ ვართო, როგორც

სულ სხვაა ბურჟუა-ინტელიგენციის მეორე ჯგუფი. ამას

კი რამე უმზავსოს მოიმოქმედებენ და საცაა ამაზე უნდა ალაპარაკდენ, მაშინვე წინ წამოაგდებენ პირველი ჯგუფის ინტელიგენტს და მწვეარივით გამოენთებიან, გვიშველეთ, ქვეყანას ლუბავენ ესენიო, და საზოგადოებაც ივიწყებს იმას, რაზედაც ლაპარაკს აპირობდა და დაგებულ მახეში სიამოვნებით ვარდება. ასე აფუჩქებენ თავის სიღუბტირეს ეს ვაჭბატონები დიდი ხანია, მაგრამ წყლის კოკა წყალზე გატყდებაო, ნათქვამია, და მათი კოკაც გატყდა, გატყდა სწორედ იქ, სადაც სრულიად არ მოველოდით—შავი ქვის მრეწველთა კრებაზე. აქ ცხადათ გამოჩნდა ამ ბურჟუა-ინტელიგენტის მთელი ზნეობრივი ავლადიდება. დავინახეთ, რომ ამას მაღა მის მეტოქე პირველ ჯგუფზე მეტი თუ აქვს, თვარა ნაკლები არა და საშვალეობაც შესაფერი შეუთვისებია; მანაც ისე მოკრიბა კენჭები, ისე იშოვა ვექილობები, ისე მოიყვანა ხალხი „ურას“ საძახებლათ, როგორც ამას მას ჟამსა შინა პირველი ჯგუფი ჩალოდა.


აქვე გამოირკვა, რომ ამ ჯგუფის მეთაური ყოფილა ბ. ზდანოვიჩი, რომელსაც ისე კარგათ შეუთვისებია ბ. ჩიკვაიძის ხერხი, რომ თავის მასწავლებელს გადააქარბა. რა ოინები ჩაიდინა, რა ხერხებს მიმართა მან ადგილის შესარჩენათ—ეს აწერილი გვქონდა ჩვენ ზ სხვებს წინა წერილებში. აქ მოქმედებდა მთელი ჯგუფი, მთელი ორგანიზაცია და მისი ასე საოცრათ დამსხვრევა თვალსაჩინო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ეს დამსხვრევა რომ საგონებელი არ ვახადონ, თავისი გულის ზრახვანი რომ ხელახლა დამალონ და ქვეყანას პირნათლათ ეჩვენონ, მიმართეს ჩვეულებრივ ხრიკს, თავისი ცოდვების გადაფუჩქებას და სხვების წინ წამოგდებას. ასპარეზზე გამოაგდეს იგივე ჩიკვაიძე—ეს მათი გაჭირვების ტალკვესი, თავისი მეგობარი ემერიკი, ვილაც ინჟინრები, შეთხზეს ქარის წისქვილები და ღონკობოტივით სალაშქროთ დამზადდნ. ჩვენ თვითმართველობას ვიცავთ—ყვირიან ისინი და ამ ყვირილში აპირობენ თავისი გამოქვადენებული სიღუბტირე გააქრონ. გვიანდაა! სიმართლეს ვერ დაიცავენ ისინი, ვისაც სიმართლე აკლიათ. თვითმართველობა არც ისე ყბათასალეობია, რომ საექვო პირთა სამფარველო შეიქნას. ბურჟუა ინტელიგენტის თვითმართველობა—ქამა-სმის თვითმართველობაა, თვითნებური ნავარდობაა, „მე ვარ და ჩემი ნაბადის“ სიმღერაა, და აი ეს ნამდვილი თვითმართველობის ძირიანათ ამომგდებნი გვაჯერებენ—ჩვენ ვიცავთ თვითმართველობასო!

განსაკუთრებით ამას დაჟინებით გაიძახიან მათი იდეოლოგები, რომლებმაც თავისი რიხიანობით და შეუბოვრობით წინ გაუსწრეს თვით ჯგუფის მეფეს ბ. ზდანოვიჩს. ამ იდეოლოგების ორგანოა „ცნობის ფურცელი“, თუმცა „ქრისტეს მმოსავი“ „ივერიაც“ კი აქეთ წვდის ფებს ბურჟუაზიულ ტაბლასთან დასაჯდოვით. ეს არ ჯერდება თავის საჯდომს, უნდა მიინდამინც ორ სკამ შუა დასუბდეს, ორპიროვანი გახდეს—თავადურ-ბურჟუაზიული. რაც შეეხება „ცნ. ფურცელს“, მან დაიწყო ბურჟუაზიის ბაირალტრობით, მერე უარყო ეს და გვეფიცებოდა დემოკრატი ვარო, თუმცა „ჩემებურიო“, ახლა კი ბურჟუა-ინტელიგენტამდი ჩამოქვეითებულა! აი მეორე მოსალოდნელი შედეგი წლევენდელი კრებისა! გინდათ გაიგოთ ამ გაზეთის სული და გული? წაიკითხეთ მისი ხუთი მოწინავე წერილი, დაწყებული 28 იანვრიდან. აქ ბევრ საოცარ ამბებს ნახავთ, ნახავთ რომ ჩვენ ვყოფილვართ პალმის ამხანაგები, დერჟიმორდას მოტრფილენი, ჩარჩკაპიტალისტების ქომავნი—ერთი სიტყვით ყველაფერი ის, რაც არ გვეგონა და არც არავის გონებია. ეს აღმოაჩინა „ცნ. ფ.“ ბელადმა, და მერე იცით რატომ? იმიტომ რომ დაგვიმტკიცოს ბურჟუა-ინტელიგენტის მოწინავეობა და

ზდანოვიჩის თავისდადება. ვნახოთ ერთი რა აწუხებს ამ კაცს, შევახოთ ხელი მის ხუთ ვევებრთელა წერილს ზ გავიგოთ რა ალაპარაკებს მას ასე რიხიანათ.

ჩვენ კარგათ გვესმის ავტორის მწუხარება—იმის შესახებ რომ ამდენი „აურ-ზაურია ატეხილა“ მრეწველთა კრების შესახებ. მას, რასაკვირელია, არაფრათ ეპიტნავება მისი სამფარველო ჯგუფის ასე საარაკოთ ჩაფლავება და ამის გამოაკარავება. რომ ეს გადამალოს და მკითხველს თვალი აუხვიოს—მოყოლია ის ცის და ბარის ამბებს, ხოლო სადაო საგანი კი ამ ამბები მორევში ჩაუყურტუშალებია. ასეთაა, როგორც ხევით ვთქვით ბურჟუა-ინტელიგენტის ტაქტიკა და ამასვე აღვია მისი იდეოლოგია. არც ერთი ის ბრალდება, რომელიც ჩვენ გაზეთში იყო ანუხსული საბჭოს შესახებ—მას არ დაურღვევია, არც კი შესებია და მის დაზღვევას არც ცდილა. რაო ნეტავი, არ ეკადრებოდა ამაზე ბასია? თუ კი ცილის წამება კია საკადრისი—ვითომ „საქმიან ოპოზიციას“ კი არ ვუწევთ, არამედ პირად მძულვარებას (თავი V), თუ ასეთი ტყუილის წერა კი შეიძლება, რატომ ერთი ფაქტი მაინც არ მოიხსენია ჩვენი წერილებიდან? ჩვენ ვითხოვთ „ცნობის ფურც.“ რედაქციიდან ან დაარღვიოს ჩვენ გაზეთში მოყვანილი ფაქტები ან და უკან წაიღოს თავისი ტყუილები. მარა უკან წასაღები ტყუილები ერთობ ბევრი იქნება და სჯობს ისევე ჩვენ მივებმაროთ ამ უსიამოვნო ჯაფაში. პირველ ყოვლისა გაზეთმა გამოახტუნა, ჩვეულებისამებრ, კალისტრატე, მას მიაყოლა ინჟინერი მარკოვსკი, ემერაკი და კვალენი—აი თქვენ ერთათ მოქმედობათ, გრცხვენოდეთო, ე. ი. კალისტრატემ რომ თქვას ორი და ორი ოთხია, თქვენ მაშინ უაუოთ ხუთი უნდა თქვათო, რაკი ემერაკი და მარკოვსკი საბჭოს წინააღმდეგია, ამიტომ თქვენ მომხრე უნდა იყოთო! ამაზე უფრო ბალღური მოსაზრება კიდევ შეიძლება? აზრი უნდა იცვალოს იმის მიხედვით, თუ ვინ არის შენი მომხრე და ვინ მოწინააღმდეგე. საქმე აზრში კი არ არას, საქმე პიროვნებაშია, თუ ეს პირი მოგწონთ, მაშინ მისი აზრიც უნდა მოიწონოთ, რაგინდ სულელობა იყოს იგი, თუ არ მოგწონთ—მაშინ აზრსაც უარი უნდა ჰყოთ, თუნდაც ეს სრულა ქეშმარტება იყოს. აზრის და მიმართულების გამოცვლა პიროვნებათა მიხედვით—აი ლოლიკა ბურჟუა-ინტელიგენტისა და ამასვე ქადაგებს მისი იდეოლოგია. და ეს ასე აშკარათ და მოურიდებლათ! ალბათ ამ მცნებას თუ ასრულებს „ცნ. ფურ.“, რაცა აზრებს საცვალივით იცვლის და კვირეში შეიდი პარასკევი აქვს.

რატომ ასე მოძულა ავტორმა მარკოვსკი და ემერიკი? ის ამბობს: „მარკოვსკისარვეზიო ანგარიშში და თავის განმარტებაში სასტრუათ კიცხავდა საბჭოს მოღვაწეობას“. აი რა ცოდვა ჩაუდენია მას, საბჭოს მოღვაწეობა არ მოუწონებია და როგორც წევრს სარვეზიო კომისიისას, კრიტიკაში გაუტარებია. ეს არის თავი და თავი მიზეზი „ც. ფ.“ გულისწყრომისა. მარა ეს რომ დაფაროს და მკითხველი შეცდომაში შეიყვანოს, მას ხელი წაუტანებია ლიბერალურ ფრაზებისათვის, მარკოვსკი „მოხელის ნამდვილი ტიპია“, რომელმაც განაცხადა, მე როგორც მთავრობას წარმომადგენელი და არა თქვენ მიერ არჩეული საბჭოს კრიტიკას არ ვექვემდებარებო. აი ამას წააფრინდა ბურჟუა-ინტელიგენტია კრებაზე, მისი იდეოლოგია—გაზეთში და ამ „საბუთით“ ამტკიცებენ, მართალი ვართო. თუმცა მარკოვსკის ჩინოვნიკობას არავითარი კავშირი არ აქვს საბჭოს მოღვაწეობის უფარვისობასთან, მარა რა ბურჟუა-ინტელიგენტები არიან ისინი, თუ თავისი სიღუბტირე არ გადაფუჩქეს და სხვა არ წამოიგდეს წინ. არ ვარგებულა აგრეთვე ემერიკი, „ის არის წარმომადგენელი მსხვილ კაპიტალისტებ-ექსპორტიორებისა.



რა ინტერესი აქვთ მათ ჩვენში? შავი ქვის გაზიდვა ჩაიდგონ ხელში, გახდენ ერთად ერთ ვაჟივით, ჩვენი შავი ქვისა მსოფლიო ბაზარზე... ადგილ უბრალო მრეწველთ კისერში თოკი მაგრათ წაუჭირეს—ამბობს ავტორი. ერთი სიტყვით, ემერიკი არ ვარგა იმიტომ, რომ წვრილ მრეწველთ ავიწროვებო, მაშასადამე საქირთა წვრილ-მრეწველთა ინტერესი დავიცვათ.

ამნაირათ, გაზეთი გამოდის წინაღმდეგ მარკოვსკის, ემერიკის და მომხრეთ წვრილ მრეწველთა. რატომ? მას ქემ-მარიტება აღაპარაკებს? სრულიადაც არა. მარკოვსკი, ემერიკი არ ვარგან წვლს იმიტომ რომ ზღანოვიჩის წინააღმდეგი არიან, ხოლო წვრილი მრეწველნი საქები არიან იმიტომ, რომ ზღანოვიჩის მომხრენია—აი მთელი საბუთი ავტორისა. და ეს რომ ასეა, ჩანს შემდეგიდან: მესამე კრებაზე წვრილი მრეწველნი იყვენ საბჭოს წინააღმდეგნი, ოპოზიცია ამათგან შედგებოდა; ხოლო ემერიკ-მარკოვსკი საბჭოს მომხრენი. მარკოვსკის მაშინდელი რევიზია ყველაფერს „Въ образцовомъ состоянiи“ ხელახს, გარდა ფულის ხარჯის წესებისა, მარა ესეც მხოლოდ „не выполнѣнъ племениобразнымъ“¹⁾, ასე რომ ოპოზიციის მეთაურმა ბ. ს. ფირცხალავამ კრებაზე განაცხადა: „Я думаю, можно высказаться съ сомнѣнiемъ о дѣятельности ревизионной комисиі“²⁾. ხოლო ემერიკი და ყველა სხვილი კაპიტალისტები თავს დებდენ ზღანოვიჩისათვის. პირველმა სხვათა შორის ასეთი წინადადება წარუდგინა კრებას: „Я предлагаю съѣзду выразить одобренiе председателю совѣта“³⁾ და სხ. ერთი სიტყვით, მარკოვსკი-ემერიკები ზღანოვიჩის მომხრე იყვენ, ხოლო ჩვენ წვრილ მწარმოებლებთან ერთათ მოწინააღმდეგე. ახლა ერთი ვიკითხოთ: როგორ ეპყრობოდა და ეპყრობა „ცნობის ფურცლის“ ბელადი მაშინდელ ოპოზიციას და საბჭოს პარტიას? თუ მარკოვსკი-ემერიკის პარტია საძრახისი პარტიაა—ცხადია მაშინაც საძრახისი ყოფილა და მას უნდა დაეგმო ის; თუ წვრილ მრეწველთა პარტია საქები პარტიაა—ცხადია მაშინაც საქები ყოფილა და უნდა მიხმარებოდა მას. მერე ასე მოიმოქმედა მან? სრულიადაც არა, მაშინდელ საბჭოს პარტიას ისე აქებ-ადიდებს, მაშინდელ ოპოზიციას ისე ლანძღავს და ქირდავს, როგორც წლევეანდელ საბჭოს პარტიის და ოპოზიციის შესახებ შვრება.

„წინადადებ კრებაზე (მესამეზე), მაგალითათ, ამბობს ავტორი, ანტისაზოგადოებრივმა კალისტრატისმმა (კიდევ კალისტრატე!) ბ. ზღანოვიჩის წინააღმდეგ ბ. კალატოზიშვილი წამოაყენა და მთელმა ოპოზიციამ ეს კანდიდატი გაიხადა თავის გმირათ... აი როგორ დაბრმავდენ მაშინ „ხალხის ინტერესების დამცველნი“⁴⁾ (თავი I.)“

აი ასე უსაბუთოთ ლანძღავს ავტორი წვრილ მრეწველთა ოპოზიციას და მხარს უჭერს ემერიკ მარკოვსკებს. რატომ? იმიტომ რომ პირველი ზღანოვიჩის წინააღმდეგი იყო, მეორენი კი მომხრე.

წლევეანდელ კრებაზე კი აქებს პირველს და აგინებს მეორეთ. რატომ? იმიტომ რომ პირველი მომხრეა ზღანო-

ვიჩის და მეორე მოწინააღმდეგე. ცხადია, ზღანოვიჩის ოპოზიციას, ვისგანაც უნდა იყოს შემდგარი, საძრახისისა, ხოლო მომხრეობა, ვინც უნდა ეწეოდეს ამას, საქები და მარკოვსკი-ემერიკი. აი „ცნობის ფურცლის“ მთელი სულს სწავლიან მისი ბელადის მთელი „მიმართულება“, აი ბურჟუა-ინტელიგენციის სიმართლის მოყვარეობა. ამათვის საყურადღებოა არა სიმართლე, არა საქმის სამსახური, არამედ საქმის ხელში ჩაგდება და ჯამაგირების შერჩენა. აქ მთელი კითხვა მდგომარეობს არა საქმის გამარჯვებაში, არა საზოგადოების ნამდვილ სამსახურში, არამედ მხოლოდ ბ. ზღანოვიჩის დაცვაში და მით დაცვაში მთელი მისი ჯგუფისა.

ჩვენ ვამტყუნებთ „ცნობის ფურცლის“ რედაქციას იმაში, რომ ის ემსახურება არა საქმეს, არამედ ერთ პარს—ეს პარია ზღანოვიჩი—და ვიწვევთ დაარღვიოს ზემოთ მოყვანილი ფაქტები და თავი გაიმართლოს.

ეს ბურჟუა-ინტელიგენციის იდეოლოგი ყოველ ღონეს ხმარობს, არავითარ ცილის წამებას არ ერიდება, რომ რამენაირათ მისი საყვარელი გმირი ზღანოვიჩი გაათეთროს და წყლიდან მშრალათ გამოიყვანოს. ის იმასაც კი გვწამებს ვითომ „მრეწველთა თვითმართველობის წინააღმდეგ ბრძოლას“ ვეწეოდეთ (იხ. თ. I). დავისახელოს ერთი, როდის, სად და ვინ შეებრძოლა თვითმართველობას? და ან ნუ თუ თვითმართველობის მქაველთა ხელიდან გამოგლეჯა—თვითმართველობის მოსპობას მოასწავებს? აა კიდევ ერთი თვისება ბურჟუა-ინტელიგენციისა. თვითმართველობა და, საზოგადოთ, ყოველივე საზოგადო საქმე თავისთვის უნდათ და თუ მისი გამოხერა არ დაანებებ—გაიძახიან ეს თვით საქმის დაღუპვაა. დიახ, დაღუპვაა, მარა არა საქმის, არამედ ბურჟუა-ინტელიგენციის. თვარა, რა იყო წლევეანდელ კრებაზე სადაო, ყველაფერი აშკარათ და ნათლათ იყო გამოფენილი, იქ არც წვრილ მრეწველთა კითხვა ყოფილა და არც მსხვილთა, იქ იყო უბრალო ადამიანურ პატიოსნებაზე ლაპარაკი, საბჭომ არ შეასრულა მესამე კრების გადაწყვეტილება, ფულები დაფლანგა, ანგარიშები არეულია, საავთომოფორში უწყობაა, მუშები უყურადღებოთა—ერთი სიტყვით ნამდვილი ბაბილონის გოდოლია, სადაც მხოლოდ ბურჟუა-ინტელიგენცია ითბობს ხელს და სუქდება. და აი ყველა ამას იცავს „ცნობის ფურცელი“. ამიერიდან მიინც გვეცოდინება რომ ეს გაზეთი ბურჟუა-ინტელიგენციის ორგანოა და მისი მეთაურნი ამ ინტელიგენციის იდეოლოგნი. ესეც საკმარისია ხალხის გამოსათხიზლებლათ; წლევეანდელ კრებას ამის მეტი შედეგი რომ არ ქონებოდა—ამითაც კმაყოფილი ვიქნებოდით.

ახლა კი მივმართებ ბ. სიტყვებს და ვკითხავ: რა გაქვთ საერთო ამ იდეოლოგებთან? რა გაკავშირებთ ბურჟუა-ინტელიგენციასთან? ნუ თუ შესაძლებლათ ხედავთ იმათთან თანამშრომლობას, რომელთაგან იმავე ორგანოში ასეთი მწვავე მათრახები გხვდებოთ? ან შეიძლება გგონიათ—ეს წვრილმანი კითხვა იყოს და ჩვენ საზოგადოებრივ თვითცნობიერებასთან მკიდრო კავშირი არა ქონდეს?

გ. მარმალაძე.

სხვადასხვა ამბები.

გუშინ, 7 თებერვალს, თფილისის გუბერნატორმა შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ კავკასიის მთავარ-მართველმა შეუძლებლათ სცნო თავ. ა. მ. არღუთინსკიდოლოგორუკოვის ქალაქის მოურავის თანამდებობაზე დამტკიცება და ამიტომ, რაც შეიძლება მალე, მოახდინეთ საბჭოს კრება ახალის კანდიდატის დასასახელებლათ და ამოსარჩევათ. გუ-

1) „Труды III-го съѣзда“ გვ. 30.
 2) იქ გვ. 81; 3) იქვე გვ. 78.
 4) ეს განმეორება იმიხი რაც ბ. ლალმა 1900 წ. „მოამბეში“ (№ 8) დასწერა ოპოზიციას და რაც ცილისწამება იყო და არის „კვალმა“ პირდაპირ განაცხადა კალატოზიშვილის შესახებ, არ უნდა გამოეყენათ კანდიდატათ (იხ. № 41, მეთაური წვრილი, 1900 წ.). ის დაგმეს აგრევე ოპოზიციის მეთაურებმა ქვარიანმა და ფირცხალავამ (იხ. „კვალმა“ იმავე წლის № 39). საზოგადოთ „ცნ. ფურ.“ წერილები პირწმინდათ იქერებენ ბ. ლალის ლანძღვა-გინებას მაშინდელ ოპოზიციის შესახებ და გადმოაქვთ წლევეანდელ ოპოზიციას.

ბერნატორის მოწერილობა ორშაბათს, 10 თებერვალს, საბ-
ქოს მოხსენდება.

იმავე ქალაქში მცხოვრებ სტატკი სოვეტნიკს, დ. ნ.
ბაქრაძეს, აღუძრავს შუამდგომლობა სადაც ჯერარს, რომ
ნება მიეცეს მას გამოსცეს ქ. ქუთაისშივე მისივე რედაქტო-
რობით დღიური გაზეთი ქართულ ენაზე, სახელათ „შრომა“.
გაზეთის პროგრამა ფართო იქნება.

„სიბ. უწყ.“-ში დაბეჭდილია შემდეგი წერილი: „გაზეთ
„სტენიო კრაი“-ს რედაქცია თავს ანებებს თავის გაზეთს,
რადგან შეუძლებლად სცნობს მუშაობას ახლანდელს გარე-
მოებაში“.

4 თებერვალს შეერთებული კრება ქონდა ტფილისის
ქალაქის გამგეობას, კოვისიას და ხმოსან-ტენიკოსებს. კრე-
ბას უნდა განეხილა სამი მოხსენება: თავ. ჩოლოყაშვილისა,
თავ. გურამიშვილისა და ერთის ფირმისა. სამივე ქალაქის ქუ-
ჩების განათებას შეეხება. ერთი ურჩევს ქუჩების გაზით გა-
ნათებას, მეორე ვალკინის ფარნებით, ხოლო მესამე—ელექ-
ტრონით. უმრავლესობამ კრებაზედ ელექტრონით განათება
ამჯობინა. ბოლოს კრებამ დაავალა ხმოსან-ტენიკოსებს და-
წვრილებით განიხილონ მოხსენებანი და თავისი აზრი წარუ-
დგინონ.

ცხენის რკინის გზათა უსახელო საზოგადოების 40 მო-
სამსახურემ უკმაყოფილება განაცხადა ჯამაგირის დაკლებისა-
თვის (60 კაპ. ნაცვლად 40 კაპ. გახადეს). მოსამსახურებმა
ითხოვეს ჯამაგირის მომატება, მაგრამ ცხენის რკინის გზის
გამგეებმა არამც თუ არ მოუმატეს, 38 კაცი კიდევ დაითხო-
ვეს სამსახურიდან.

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების გადაწყვეტილების
თანხმით ვიცე-პრეზიდენტმა უგან. თავადმა პ. გრუზინსკიმ
შუამდგომლობა აღძრა მთავარმართველის წინაშე, ნება დაერ-
თო ადგილობრივ მეურნეთათვის გორსა, თელავსა და სხვა სა-
მაზრო ქალაქებში კრებები მოეხდინათ სასოფლო-სამეურნეო
საჭიროებათა გამოსარკვევად. გუშინ, 5 თებერვალს, თავ.
გრუზინსკის მთავარმართველის კანცელარიამ (პეტერბურგი-
დან) შეატყობინა, რომ მთავარმართველმა, მხედველობაში
მიიღო ის გარემოება, რომ კავკასიაში სამეურნეო საჭი-
როებათა გამოსარკვევად სამაზრო კომიტეტები არ იქმნა მო-
წვეული და შეუძლებლად სცნო საზოგადოების შუამდგომ-
ლობის შეწყნარება.

კვირას, 2 თებერვალს, დურგალთა ამხანაგობის „შრო-
მის“ წევრთა კრება მოხდა. კრებამ დაადგინა აირჩიოს ხელ-
ახლა სარევიზიო კომისიის წევრნი ანგარიშის განსახილვე-
ლად და ამხანაგობის საქმეების შესასწავლად. კომისიის წევ-
რებად აირჩიეს მინეილ ჩოდრიშვილი, ისაკ რუსიშვილი და
ზაქარია ნაბიჭერიშვილი. სარევიზიო კომისია უკვე შეუდგა
საქმეს.

5 თებერვალს ტფილისიდან ვენაში საექიმოთ გაემგზა-
ვრა ავადმყოფი მსახიობი ვ. ალექსი-მესხიშვილი. თან მესხი-
შვილს გაყვა ქუთათური მსახიობი ჯანოევი. რადგანაც მისი
წასვლის დღე გამოცხადებული არ იყო, ბევრი მისი პატივის-
მცემელი სამწუხაროთ ვერ დაესწრო ამ გაცილებას.

მეორე თავ-შესაფარისთვის ახლათ დაქირავებულ სახლში
ჯერ ვერ გადაიყვანენ თურმე ღამის მთევვლთ, რადგან სახლის

ფენები სულ უვარგისი გამოდგარა. სანამ ამას შეაკეთებდენ
ისევ ძველ ბინაზე დარჩებიან, ამისათვის ზედამხედველის ბინა
დაუცლიათ და ავადმყოფები იქ გადაუყვანონ. ამისათვის
ამ ჟამად 35-მდეა. ღამის მთევვლნი ალბად ცდილობენ
რადგან ამ ჟამად სულ 40-მდე კაცი თუა, მაშინ როდესაც
წინათ აქ 200-მდე აღიოდა იმათი რიცხვი.

1902 წელს ქალაქს შემოსვლია: დასაუასებელი გარდა-
სახადი—396,919 მან. 8 კაპ., სატრაქტორო, სამრეწველო
დაწესებურებათაგან—55,525 მან. 80 კაპ., ცხენების და
ეტლების გარდასახადი—38,598 მან. 6 კაპ., ქალაქს შენო-
ბებისა—13,655 მან. 19 კაპ., წყლის მილისა—229,485 მ.
86 კაპ., საყასბოსი—63,197 მან. 84 კაპ., საქონლის სად-
გომისა—21,885 მან. 34 კაპ., ბელჯიის უსახელო საზოგა-
დოებისაგან—84,097 მან., 5 კაპ., წყლის გასაყვან სახე-
ლოსნოდან—31,779 მან. 13 კაპ. და სხვა სულ 1,210,907
მან. 69 კაპ.

30 იანვარს სოხუმში დიდი ტანჯვა-ვაების შემდეგ გა-
დაიცვალა ახალგაზდა ექიმი დავით გიორგობიანი. განსვენე-
ბულმა სემინარიის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტი კიევ-
ში გაათავა და 1901 წ. დაბრუნდა ქუთაისში, სადაც იგი
საქონ თოფურის საავადმყოფოში იყო შინაგან ავადმყოფო-
ბათა ექიმათ. დღეისწორს განსვენებული მოასვენეს ქუთაის-
ში, სადაც მას მრავალი ნაცნობ-მეგობრები და ქუთაისის
ყველა ქართველი ექიმებუ შეხვდნენ. განსვენებული კუბო
შვიდამდი გვირგვინით იყო შემკული ამხანაგ-მეგობრების,
სოხუმის და ქუთაისის ექიმებისაგან, ცაოკე ს. თოფურაას
სავადმყოფოსაგან და სხ.

განსვენებული ჯერ კიდევ სემინარიაში იყო, რომ თარ-
გმნა სახალხო-სამეცნიერო წიგნაკი: „ცა და დედამიწა“ ივა-
ნოვისა, რომელიც წერ.-კითხ. გამაერცვლებელ საზ. გამოცა
1894 წ შავი ჭირის მოლოდინის დროს ქუთაისის სამკურ-
ნალო საზოგადოებამ მიანდო შედგენა ქართულათ შავი ჭი-
რის შესახებ სახალხო წიგნაკი, რაც მან შეასრულა და ქა-
ლაქის გამგეობამ გამოცა იგი და დაურიგა მცხოვრებლებს.

გსათა სემინარიათს განკარგულებით უველა რკინის გზე-
ბა და განსაკუთრებთ კავკასიის რკინის გზა ვადლებული არიან
შემდეგში თავისუფალი ადგილები რკინის გზას დაანდავის, სი-
დების, სადგურების და დაანდაგზე გადასასვლელი (переезды)
ადგილების დაარჯებისა, მკისრებისა (стрелочники), რემონტის
მუშებისა და კონდუქტორებისა ჯარისკაცთა ნაშეოფებს მისცენ
სადმე. ამ მაზნიით სამხედრო უწყებამ წინადადება მისცა სამხედრო
ნაწილის უფროსს რკინის-გზის სამართველოებს წარუდგინონ
სადმე ჯარის კაცთა ნაშეოფთა რადეხობა.

განსვენებულია, ვინც უბილეთთ წაიყვანს მგზავრებს რკი-
ნის-გზებზე სისხლის სამართალში მისცენ.

ქორე ს მ ნ დ ე ნ ც ი ე ბ ი .

მუთაისი. ქალაქის საქმეები. 27 იანვარს ქუთაისის ქალაქის
დარბაზში ცნამდე „ქალაქის მამებს“ მოუყარათ თავი 12-დე ქალაქის
საქმეების განსარჩევათ. განსარჩევი იყო კითხვები: ჯარის კაცების
შენახვა, ტელეფონის გაკეთება, სსსწრო და მათა განსარჩობელი
ზომები, თეთრი ხიდის შეკეთება და სულსკრულობის დარდუვა,
ფირადგვის თხოვნა ელექტრონულ განათების შესახებ, ხორცის
ნიხრის მომატება, სვედეურის გამტენადება.
მოსუტმა ქალაქის თავმა, რომელსაც მწვანე მუდიან მაგიდას-

თან მარცხნივ შამოსხდომდა სმა ახალგაზდა თანამშრომელი, გახსნა თუ არა 8 1/2 საათზე კრება გამოაცხადა: სამხედრო გუბერნატორი თხოულობს, რომ ფოთის ზოგადი სამხედრო ჯარის კაცებს ქალაქის ბინის ფულები მიეცეს. ამასთან მან ისიც დასძინა, რომ, როგორც გავიგეთ, თფილისის თვითმართველობაც იხდის ამგვარ გადასახადებს რამდენიმე წლის განმავლობაში, მარა როცა გაიგო, რომ ეს უკანონო არის, უარი განაცხადა გარდახდაც და საქმე უმადლეს მთავრობასთან წარმოადგინა. ამიტომ დღეს ჩვენი გამოცემა იმ აზრისაა, რომ ჩვენც ვინებდვინებდეთ ამითი მკაცრით და გავსახიფროთ ეს საქმე სხვა ჯარისკაცს, თქვა ქალაქის თავმა და ხმოსნივრე შეუკამათებლათ დაეთანხმენ და ან ვი ვის რა ექნებოდა იმის საწინააღმდეგო, თუ ვი ვინმე ქალაქის საარაკოთ გამხდარ ცდივერ კასის კადივერებს მოისურვებდა!

შემდეგ ქალაქის თავმა ერთგვარად სიამოვნებით მოასვენა ხმოსნებს, რომ ჩვენი (გამგებობის) თანხრობით ქუთაისში ტელეფონის გაკეთება გვიხდა და თქვენ ამ ახალ საქმეს როგორ შეხედავთ. იყოს ნება თქვენია, ერთხმით მიადისეც ეველამ, ან რისთვის ეტყვიან უარს, როდესაც გამგებობა ამისთვის ქალაქისაგან სარჯის გადაებას არ ითხოვდა.

მეორე მოხსენება გამგებობისა ქალაქის საწინის საქმეს შეხებოდა. ეს საქმე როგორც სოფლათ, ისე ბევრგან ქალაქებშიც მუდამ სკიოთხით არის გადაქვეყნილი. მისი მოწესრიგებლობის გამო ეველგან დიდ გასაჭირშია ჩავრდნილი მუდამდელი და გამოიდგელი. ქუთაისის სასწორების საქმეც ბევრ სხვა საქმეებსაკით საარაკოთ არის გამხდარა. რაც უსამართლობას შვენილები ჩადიან, როგორც გამოიქვეყნა—სოფლის გლეხების, ისე მუდამდელ ქალაქელების წინაშე—ამის სინამდვილით აღწერას ვერც ერთი გახეთის ფურცელი ვერ დაიტყვის. ეს ახორმალური მოკლეხა ქალაქის საქმეებსა წამოებაში ჩვენ მასწავლებლობაში როგორც გახეთებში, ისე საბჭოს კრებებზე მრავალჯერ იყო ხმოსნების მიერ აღნიშნული, მარა ქალაქის გამგებობის მხრივ მუდამ ერთი და იგივე ხასიუნი იხდოდა: *дѣйствительно, это зло существует на нашихъ вѣсахъ; мы всеми силами стараемся искоренить его и предпринимаемъ энергическія мѣры къ ихъ устраненію, но больше ничего не могли сдѣлать.* და მართლაც ეს „*энергич. мѣры*“ რჩება ხმათ მდალადებობის უდახსის შინა, იჯარადრების თავკასულობას რომ საზღვარი არ აქვს, ეს ხმოსნებმა 27 იანვ. კრებაზეც აღნიშნეს. ერთმა მომჭირნე ხმოსნმა გულუბრუნებლათ განაცხადა: ნუ თუ არ შეიძლება ეს საქმე თვით ქალაქის გამგებობამ აწარმოვოს „*хозяйственнымъ способомъ*“—ო? მარა „*დიდი საქმეების*“ მატროთი: ქალაქის მოურავმა უხასუნა: ეს ისეთი წვრილმანის საქმეა, რომ გამგებობა აბა სდ იშოვის სახდო ზარებს, რომ იგი აწარმოვოს, იმის სდოცისა.

საკვირვებელია ქუთათური მოღვაწეების საქმე: დიდი რამ საქმე თუ გამოჩნდა, იმას სიდიდის ზ სირთულის გამო ხელს ვერ კიდებენ, აქადა მცოდნე და მშრომელი კაცები არ გვიყავს, საქმეს რიგაანათ ვერ წაუკიდებთ და მისთ. ამგვარი იყო ყელის გაყვანის საქმე ქუთაისში, რომელიც მოხერხებულ და „ნიჭიერთა“ მატყურა იხიენერს ჩაუკვეს სეღში ზ ვინ იცის როდის ედარსება მცხოვრებლები წმინდა წყლის დაღვეს. ამავე დროს იგინივე ხატარა, წვრილმან საქმეებზე გაძინან: ეს წვრილმანის საქმეა და ჩვენ არ შეგვიყვარის. ჩვენის აზრით ვი ამხიარ საქმის კაცებს რუსული ენის ლექსიკონით „*ჩინოვნაკები*“ გვიქვიან და არა ქართული სინაკით სახელი „*მოღვაწეები*“.

სასწორის მოწესრიგების საქმესვე შეხებოდა ხმოსნ მოსეშვილის წინადადება სასწორის მოედნის გაფართოების შესახებ. ამასვე გამგებობის საჭირო ცნობების შეკრება ვერ მოესწრო და საბჭოც გულგრილათ მოკვიდა ქუთათურებისათვის ამ შეტათ საჭირობორატო სკიოთხის გადაწვევას.

შემდეგ ხანგრძლივი და არა სისამოვნო დახარჯი გამოიწვია

თეთრი ხადის შეკეთების საქმეც. ეს სიდი აგერ მესამე თვეა დაუქმებულია. ხადების დიდხნობით დაუქმების შესახებ ლოლუს თავობის დროსაც დიდი საუკედური გაისმოდა. გარემდენი *[[[...]]]* დების გაკეთებას და მათ დამთავრებას საშველ *[[[...]]]* იჯარადრები მუდამ ვადის გადადებას თხოულობდენ. ამის გამო მცხოვრებლები ნასეჯარ წლობით და მეტით დატატყუნებდენ ტალახში შორეულის ცხებით და აუტანელ გასაჭირში იყვენ. დღესაც სხაქებო მოღვაწეების ხელშიც მცხოვრებლები ამგვარსავე მდგომარეობაში ვარდებიან. ახლანდელ გამგებობისათ თეთრი ხადის გაკეთება ფიცრით და არა მოთხე რეინით, როგორც ამის ზოგადი იხიენერ ხმოსნმა მუდამა შემოიტანა საბჭოში, იჯარით გაუცია. იჯარადრს ვადაში (თვენახევარში) ხადის გაკეთება ვერ მოესწრო და მხოლოდ ვადის წინა დღით (14 იანვარს) თხოვნა შეუტანა გამგებობაში: ცუდი ამინდების გამო ზირობა ვერ შევასრულე, ვადა გამოვიქვით და ჯარამას, 25 მან. ზირობის ძალით გადაცილებულ დღეში ნუ გადამახდეინებთ. ხმოსნები ის იყო გულგრილილობას იჩენდა და სმის უმრავლესობით ადგენდენ: ნუ გადავახდეინებთ იჯარადრს ჯარამას და ვადაც ორ ივეთ გავუხდოთ; ამ დროს წამოდგა ხმოსანი ექიმი გ. ქორქაშვილი და განაცხადა:

„Я абсолютно не согласенъ съ такимъ рѣшеніемъ большинства“—ო და გაკიცხა როგორც გამგებობა, ისე თვისი გულმტყუალე ამხასკები: როგორ თუ ყოველთვის ვანატოთ საზოგადო საქმის დამხარკოლებელს თვისი დანახაულიო. ეს ხომ ვერძო საქმე არ არის, სადაა გულმტყუანებობის ადგილი აქვს. ასეთი საქიუელი ჩვენ თვითმართველობას თავიდანვე დასწემდა; მე საქმეებიდან ვიცი, რომ ბევრი ასეთი საქმე იჯარადრებს ვადაზე არ ჩაუბარებიათ, იმ იმედით, რომ მაინც ვანატოებენ დანახაულსო. ამიტომ ქალაქის საქმეები ყოველთვის ბოლოდებოდა და მკვიდრიც გაჭირებას იმტენდა. ასეთი სოჭმედება დღემდე სისტემით ჩინათ მიღებული ჩვენ ქალაქის საქმეებზე მხრუნველებს, მარა დღის ამას იქით ასეთი მიქმედებას ბოლო უნდა მოეღოს და დეკადოს გამგებობას იჯარადრებმა ზიწმინდათ შესარულთს ქალაქთან თავიანთი ზირობები. წინააღმდეგ შემთხვევაში ასინა ზიწობის ძალით უნდა დაჯარამდენ. დღევანდელ შემთხვევაშიც იჯარადრი ზირობის დარღვევისათვის თუ 25 მან. არა ხაკლებით მანც უნდა დაჯარამდეს, „*чтобы по крайней мѣрѣ другихъ проучить*“—ო დამთავრათვისი სამართლიანის შენიშვნა ბ. ქორქაშვილმა.

ამ საუკედურს ხმოსან მოსეშვილმა, თუმცა მას ამასვე დახარკას თავმცდომარე ზარის რეკვით უშლიდა, ისიც დაუმატა, რომ გამგებობა ამ იჯარის გარემაში შემცდარიო, რადგან მე შეგხდით, თქვა მან, იჯარის გარემის მეორე დღეს რამდენიმე იჯარადრნი დახარკადენ: ორი თვით ჩვენთვის რომ მოეცათ ხადის გაკეთება 200—300 მან. საკლებ გაგაკეთებდითო. ამას მან ისიც დაუმატა, რომ ახლანდელ იჯარადრისათვის ცუდი ამინდს ხელი სრულათ არ შეუშლია და ამას ტყვიდა მიხეზობსო. ამიტომ მეც ვუერთდები ექიმ ქორქაშვილის წინადადებას და ვითხოვლობ, რომ ზირობაში რაც წერთა ის შესარულათ ამ იჯარადრის შესახებო. ბოლოს გადაწვევით იჯარადრს ვადა მოუმატან, ხოლო ჯარამის შესახებ ხადის ჩაბარების დროს იქონიონ კიდე მსჯელობა.

ფაბრიკანტმა ფორალოვმა თავის სათუთუნე ფაბრიკაში ეს ორი წელიწადი ელექტრონის განათება შემოიღო. წელს ამ გულგრილ ფაბრიკანტს ქალაქის შუაგულში მცხოვრებლები გაბედნიერებაც მოესურვებია; ამდგარა და საბჭოში წინადადება შემოუტანია: ნება მომეცით სამ (თფილისის, მახალილოვის და გიმნაზიის ქუჩებზე, სახლები და მალაქიები გაგახათო და ერთი ფარანი ჯოდდოთ ქალაქსაც დაუდგა სადაც შეტყვის ამ სამ ქუჩასეა. გამგებობას უარი გადაუწვევითა წინადადებას შემომტანისათვის, რადგან იგი თითონ, თურმე, აზიებებს ელექტრონით ქალაქის განათებას. მხოლოდ მას ვერ ვერ გადაუწვევითა თითონ შეებება ამ საქმეს, თუ ვერძო კაცს ან ამხასკობას გადასწემს. უმტყვლათ, ეს საქმეც მოხერხე-

ბულ „ნიკიერ“ ინჟინერ მიხეილავს ან ასტროლოგი, თუნდაც მან სკანდინავიური ჰერმეტიკი ათასწილით დაარწმუნოს, როგორც ეს წყლის-აუგანის საქმეში ჩადანა.

ამ საკითხზე კაი ხნის დასაწყისი შემდეგ ხმოსნები შეთანხმდნენ და დაადგინეს, რომ სანამ ქალაქი თითონ გააკეთებდეს ელექტრონით განათებას, მანამდე კერძო კაცებს მიეცეს მისი გაკეთება და დაავალეს გამკობას მოელონდათ ფინანსურად ქალაქისათვის უფრო სასარგებლო ზომებზე. ასე ამრავალთ ფინანსურების მკვლევარ წინადადებით სხვადასხვა კვლევას ნება მიმართეს ქალაქის ელექტრონის განათების შესახებ.

ქუთათური უსბები რომ მუდამ ჩივიან: ვიდრე ვინა და ტაქსის მოგვიმეტეთ. 27 ანუ. საბჭოს კრებაზედ ამას თხოულობდნენ ისინი და რადგან ამხელათ გამკობას მათთვის მხარი დაეჭირა, საბჭოც დათანხმდა ხისრის მომეტებას, მხოლოდ არა ორი კანკით, როგორც ამას უსბები თხოვდნენ, არამედ თითო კანკით, ე. ი. პირველი ხარისხის ხორცი 11 კ., მეორე—10 კ., მესამე—9 კ. და სხ. ამასთან ხმოსნებმა მოუწოდებლათ ის ადამიან-მადური მოგვეჩვენა, რომ კერძოების დონისთვის უსბებისაგან ხარისხობით ხორცს ვერ ვუიღებოდით. ამაზე რომ მისცეთ პირველი ხარისხის ხორცი ორ ან ერთ გირვანქა მაინც მე-2-ე ან მე-3-ე ხარისხის ხორცს დაგიწიებთ. ადგილობრივ და მოკრეკელ საქონლის ხორცს ერთ ფასებში უიღიან, თუმცა ადგილობრივი ქალაქის ხისრით უფრო იაფია; კამეხის ხორცის ძირის ხორცით გასაღება ხომ ჩვეულებრივი მოკლენაა, დაუმეტეს ხმოსნებმა. ამისათვის საჭიროა გამკობამ მეტი ურთქლება მიჰქცოს უსბების თავდასულობას. ერთხმით თხოვდნენ ისინი.

ბოლოს დამსწრე ხმოსნებმა დაუსწრებლად ხმოსნების საყურადღებოთ დიდი საყუდარი განაცხადეს, ბუკრი მათგანი სრულიათ უმიხეცათ ან დაიარებინ საბჭოს კრებებზე. ზოგი სისტემითურათ ან დაიარება კრებებზე, ზოგი იმიტომ ან დადის, რომ დღეს „დიდი, სახატო საგნები ან იხრება და წყრდამანებზე ან დირს წასვლა“. რათ ირჩევდნ თავს ხმოსნებთ თუ კი კრებაზე ან ივლიდნ, რათ უშლიდნ ხელს სხვების მუშაობას და სხ. მისთ. ასეთი საყუდურები ყველასაგან განსმა და ქალაქის თავმაც ამკებს ის დაუმტა, რომ ხმოსნები, მიუხედავთ ამისა, რომ მოვალენი არიან, მე მაინც არ მატყობინებენ თავიანთ დაუსწრებლობის მიზეზებს. კანონი კი ამგვარებს სასტიკათ სჯის და ჩვენ აქულებული ვაქნებით ასეთებს კრიტიკაში ჩაუდგეთ, რაზედაც მას დამსწრე ხმოსნებიც დაუთანხმენ და დაავალეს რამე დონე იღონოს, რომ ხმოსნების მომეტებული ხაზი დადიდეს კრებებზე. განათ შედეგში რა საშუალებას მიმართავს ქალაქის მოურავი იმათ შესაკრებათ და ან ისინი როგორ მოაზრებენ მას და თავიანთ მოვალეობას პირწინდათ შესრულებენ.

ისი.

დ. ახალ-სენაკი. დღეს, როდესაც ყველა სოფლებში და დაბებში ცდილობენ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებას, აარსებენ ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს, სახალხო სახლებს, საკვიარო სკოლებს, ერთი სიტყვით, წინ მიდიან პროგრესიულათ, — ახალ-სენაკის მკვიდრთ და მის ინტელიგენციას ამ საზოგადო ფარგ-ფარგის დროს სძინავს, სძინავს ღუარსახისებური ტკბილი, უზრუნველი ძლიათ. არ არსებობს აქ არც სამკითხველო, არც თეატრი, არც საკვიარო სკოლა, რომ მათ შესაძლებელი იყოს სახლის გონებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ერთათ ერთი წიგნის მადანია აქ, მარა შიგ ყველაფერია, კარდა კარგი წიგნებისა და უზრუნავ-გაზრდებისა. არაა თვითმკმელება და ამ არაობაში ჩვენ ინტელიგენციას გასართობს შეადგენს ბანქო, ხარდი, ბილიარდი, ქეიფობა, ანშიფობა და კავალრობა. ამ საზოგადო რომ წინ სვლა გამოიხინონ, ახალ-სენაკის ინტელიგენცია მართავს სკლის მოწერას, კრეფს ფულს და ამ ფულათ აძირებს დაარსონ კერძო წოდებ-

ბული „კლუბი“. ამ კლუბის დანიშნულება, როგორც რომა ინტელიგენციასაგან აგვისნა, „იქნება მოწინავე კლასის (ინტელიგენციის) კართობა. იქ ყველა წევრს თავისუფლათ შეეძლება თამაშის ბანქო, ხარდი და სხვა ამისთანაები“. როგორც სწავლათ ამ „კლუბში“ მოყრის თავს სენაკის ყველა ინტელიგენცია და სწავლათ შეიწყვიტოს სხვადასხვა თამაშობას, ასე რომ, თუ წინათ ისინი იძულებულნი იყვნენ ამ მიზნისთვის სხვადასხვა სასტუმროებში და ღუქებში დაეწყოთ სეტალი, მაღე საკუთარი კლუბებიც კი ექმნებათ! მოდი და ამის შემდეგ ახალ-სენაკის ინტელიგენციას დასწამე უმოძრობა და ერთ წერტილზე გაჩერება! ვარდენ კალანდები.

აქეთური-იქითური.

(ფელეტონი).

ჩვენ შინაურ ცხოვრებას რომ ვუკვირდები, ჩვენ უზრუნავლ ვახელებს რომ ვკითხულობ, ერთი სასაცილო არაკი მაგონდება:

„ერთმა ხებრე კაცმა კოლის შერთვა თურმე განიზრახა, საპატარძლოც გამოძებნა, დედას გაენდო, აილო ბელგა და ქალის დასანიშნათ გასწია! დედა მისს დიდი იმედი არა ჰქონდა შვილის გამოცდილებისა და დაუბარა: ნუ შეგეშინდება, შვილო, დარბაისლურათ მოიქეცი და სულ მძიმე-მძიმე საგნებზე ილაპარაკეო.

მოვიდა სასიძო საპატარძლოსთან, უღვაშები გადაიწკიპა და უნდობლათ მოუჯდა გვერდით.

— თქვენ რა უფრო მოგწონთ? მორცხვათ დაეკითხა საპატარძლო. ხებრე, დაიბნა თვალები დააქყიტა და დედის სიტყვები მოაგონდა.

— ასა ფუთი რკინა! უბასუხა სიმძიმის გულისათვის სასიძომ.

— დღეს მშვენიერი ამინდია—გადააბრუნა სიტყვა გაოცებულმა ქალმა.

— იალბუზი! კიდევ დაიბუზუნა მძიმე სიტყვა ვაჟმა.

— დიან, იალბუზი მშვენიერი სანახავია—განცვიფრებით ჩამოართვა სიტყვა ცირამ—მაგრამ მე დღევანდელ ამინდზე მოგახსენებთ.

— ერთი ქარავანი აქლემები!—უაზროთ ჩაურთო ვაჟმა.

ქალმა უყურა, უყურა თავისს საქმოს, მერე გულიანათ გადინარხარა და გარეთ გამოვარდა. დარჩა თურმე ნებსით თუ უნებლიეთ გამოყვყვებულნი კაცი უცოლოთ და ეს ამბავი კი საშვილიშვილოთ გარდმოიცა.

სწორეთ ამ საარაკო კაცს მაგონებენ ზოგაერთისი, რომლებიც თუმცა „განტელიგენტებულან“, ცხოვრებას სათავეში მოქცევიან, მაგრამ თანამედროვე ცხოვრებისა კი არა ესმით რა.—უაზრობა, უნიდაგობა მათის ნალაპარაკევისა, უმეტრება თუ ძალიათ თვალის დაბრმავება მათი, სასაცილოთა ხდის მათ და საარაკო საპატარძლოსავით გინდა შენც სცილი დაყარო, გულს რომ არ გიკლავდეს მათი უკმეობა და დაუდევრობა. მათი მძიმე-მძიმე ლაპარაკი, სიტყვების ღეჟვა, სახის მედიდური გამომეტყველება, აზრების არეგ-დარეგა და ყველაზე უფრო კი—ყოველივე სახატო მიმართულების კარგე დგომა, სწორეთ შეგინება იმათი, ვინც მთელის თავისის ძალღონით, მთელის თავისის არსებით, თავისის ქონებით ზეკეთილდევობით—ემსახურება საზოგადო საქმეს, საზოგადო ინტერესებს. მე ვიცი (ზე თქვენც უმეტრია გეცნობებთ, მკითხველებო) ბევრ იმისთანა ინტელიგენტს („ივერიის“ აზრით მარტო ინტელიგენტია უღვია ცხოვრებას სათავეში), რომელიც სიტყვით თუ კალმით, ქვეყანას უზრუნავს უქედავს „მალალ მატერიანზე“ ლაპარაკით—მაგრამ საქმით კი ისე შორს არის ქვეყნის კეთილ-დღეობისათვის ზრუნვაზე, როგორც ან-

გელოზი—ეშმაკისაგან. ქვეშარიტათ გული მიკენესის ამ სიტყვებს რომ ვწერ და ჩემ თვალთა წინ რიგრიგათ მიმო- დიან მათი სახე, ვის შესახებაც მოგახსენებთ.

ავერ ჯან-ლონით საესე, განათლებული ყმაწვილი კაცი —ყველგან და ყველასთან „მომძე და სამშობლო“ აკერია პირზე, საქმით კ... თბილ ადგილს ემსახურება, თავის კერძო ცხოვრების მოწყობაზე ფიქრობს, მზათვესა და ქრთამს ეძებს. აი მეორე არა ნაკლებ საიმედო კაცი, რომელსაც ყვე- ლათვის გაკეთება შეუძლიან—მაგრამ მშინარაა, როგორც კურდღელი და ფრთხილი, როგორც მელა!.. სიტყვით ესეც მდევ-გმირია—საქმით კი... ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია, ოლ- ონც იმას ნურა აუტყდება—რა და თუნდა ქვა-ქვაზედაც ნუ- ლარ ყოფილა! აი კიდევ „დიდი პატრიოტი, დიდი „ბურჯი“ ქვეყნისა, რომელიც მას ანთებულ კელაპტარივით შეყურებს! მერე რას აკეთებს ქვეყნისთვის, მოძმისთვის? ჰმ! სავალალოა. ქვეყანა—მისი ნიღაბია, მოძმე—კიბის საფეხურები. მოგკლავს, მიწასთან გაგასწორებს, დაგამცირებს, შენ პიროვნებას მტერათ აქცევს, ყველგან დაგცინებს, მასხარათ აგიგდებს, შენ წრფელ აზრებსა და მიმართულებას შეგიგინებს—ერთის სიტყვით გა- გახსენებებს—თუ კი გაბედე და სიტყვა შეუბრუნე, იმიტომ კი არა რომ შენ მარტალი არ იყო, არა იმიტომ რომ შენ, პაწიამ, გაბედე და უჩვენე „საქმენი მისნი“. აი კიდევ... მაგრამ კმარა უმრავლესობა რომ მართლა საქმეს ემსახურებო- დეს, ზურგს უკან რომ არა ლანძღავდეს ქვეყნის ორგულოთ, აზ- რის ჯალათებს და პირში კი არ ელაქუცებოდეს ძლის მექო- ნეთ, ხხარს უჭერდეს დაჩაგრულთ და დავრდომილთ,— აქამდის „ჩვენზე ბედნიერი, განა კიდევ იქნებოდა სადმე ერი?“ ჩვე- ნი წარსული, ჩვენი აწმყო რის მოწმეა, დიდო პატრიოტებო? იმისი, რომ საქმით არ ვიცით რა არის ნამდვილი მამულის- შვილობა, ნამდვილი სიყვარული საზოგადო საქმისა, დაჩა- გრულის მოძმისა. იმ თავით ამ თავამდის—ერთმანერთისა არა გვესმის—რა და ხშირათ იქ ვუკრავთ ტაშს, სადაც საერთო ზი- ზღია საქროა!.. დრო არის, ბატონებო, პირდაპირ შევხედოთ ცხოვრებას თვალეში, გავაფაქიზოთ ჩვენი გულის-თქმანი, თორემ საარაკო კაცივით რომ „შალთაი-ბალთაი“ ვილაპარა- კოთ, ჩვენ საქმეს ვერ ვუშველით და „საპატარძლო“ ხელიდან გაგვიფრინდება. ქუდი დავდოთ და სამართალი ისე გადავქ- რათ!.. ყველა ამას საზოგადოთ მოგახსენებთ.

* *

კერძოთ კი აბა რა სამართალია, თუ კაცი ხართ „ივე- რიის“ უკბილო ოხუნჯობა თავის და „კვალის“ შესახებ. შენ ცხოვრების მიმდინარეობას გიხატავენ და იმის მაგივრათ, რომ ჩაუკვირდე ნათქვამის აზრს, უადგილოთ ოხუნჯობ. „კვალს“ „აზრზე თუ ჰქვას და მისი საზოგადო მოღვაწეა, თვით ქვეყანაც მსოფლოდ ორ კატეგორიით უნდა დაჯერდეს გაყოფილია: ზირველი — „კვალა“ და კვალელები — ეს კაკა და მუორე—დაჩაჩქეა საქართვე- ლო და ქართველები — ეს ხისია“ — დასძენს დარბაისელი „ივე- რია“ (№ 25), ის „ივერია“, რომელსაც აქამდის ვერ შეუგ- ნია, რომ «ხიხი» ის არის, როდესაც წანაკითხის აზრი არ გესმის და უმრავლესობა შენი ყურ-მოქრილი მონა გგონია.

* *

დიად, საკვირველი არ არის რომ მხცოვანი „ივერია,, ბებრის თვალით უყურებდეს ცხოვრებას, საკვირველი მარ- ტო ის არის, რომ თავისი თავი ცხოვრების „ტონის-მიმცემი“ დანარჩენ ქართულ გაზეთების ლოტბარიც ჰგონია... „რამ- დენათაც დაგვადონა •კვალისა იმისთანა უკუღმართმა საქ- ციელმა, როგორც, მაგალითად, შეკავშირება ბბ. პილითან და კამპანისთან, და თითქმის უარ ყოფა თვით-მართველო- ბის პრინციპისა (დაფიქრდით ბატონებო რას სწამებთ კვა- ლელებს, ამით ხომ მარტო თქვენ შეუგნებლობას, თქვენ

უვიტობას ამტკიცებთ!) იმდენათ გვასიამოვნა ამ გაზეთის მიმართულებაში ორმა თვალსაჩინო ცვლილებამ და სხვა (იხ. „ივ“. № 29 მეთ., სადაც ლაპარაკია კვალელების მიერ დედანისა და მეურნეთა ინტერესების დაცვის შესახებ) და ბოლოს დასძენს: „ეს ჩვენ გაზეთში (ივერიაში) არა ერთხელ ყოფილა განმარტებული, მაგრამ გამეორება მარტო პედაგო- გიაში როდი ითვლება სწავლის დედათ და სხვა“. ერთის სი- ტყვით გამოდის, რომ კვალისათვის „ივერია“ ქუთა უსწავლე- ბია და მაშასადამე ბარაქალა „ივერია... ალბათ „ივერის“ პატივ-ცემულნი თანამშრომლები რიყეზე ისე დადიან, რომ ქვას ვერა ხედავენ, თორემ ასეთი ტრამხი არ მოუხდებო- დათ. „კვალი“ დიდი ხანია იცავს უმრავლესობის უფლებათ და იმ დროს, როდესაც „ივერია“ მძიმე და ნაწყვეტ ლაპა- რაკში „სასძლო“ ხელიდან უსხლტება, კვალელები დიდი ხა- ნია ხედვენ, როგორ უნდა შეუერთდენ საყვარელ სასძლოს!.. არც დრო და არც გარემოება ნებას არ მიძლევს, ვრცლათ ავსუსხო „ივერის“ მიერ წაღმა-უკულმა ნათქვამი და დავასაბუთო, რომ კეთილ-ცხოვრებას მიჩვეული მისი თანა- მშრომელნი ყოველთვის უკან იხედებიან, მეტი ხომ არა წა- მოგვცდა-რაო.

* *

აღვნიშნავთ მხოლოდ „ივერის“ მე-27 ნომრის მე- თაურს, რომელიც სრული უარისყოფაა ივერისგანვე წინათ ნათქვამისა, სიტყვის გაბურთავებაა ლ „ივერიელთა“ უმიმართუ- ლეობის აშკარა საბუთია. ივერია იქ ეძებს ცხოვრების კვანძს, იქა ხედავს ხსნას, სადაც სრულიადაც არ არის. აქ ცოტა პირ- დაპირი ლაპარაკია საქრო, მაგრამ უბედურება ის არის, რომ იმ დროს, როდესაც „ივერის“ ნსჯელობას ფართო გზა აქვს დათმობილი, მოპირდაპირეს სასიარულო ბილიკიც არ რჩება...

„ივერის“ სატრფიალო ინტელიგენციაა. არ ვიცი ამ ჟამათ რას ეძახის „ივერია“ ინტელიგენციას, ან რო- გორ ცხმის „ცხოვრების სათავეში დგომა“, ან რა ჰგო- ნია „ეროვნული“ მიმართულება, მხოლოთ—ის ინტელიგენ- ცია-კი, რომელსაც წინათ იცვავდა „ივერია“ რა ცხოვრების შემქნელებიც არიან ეს ყველამ კარგათ იცის (რასაკვირვე- ლია „ივერიელების“ გარდა). აიღეთ რომელ ქართულ გაზე- თის კორესპონდენციებიც გნებავთ და წაიკითხეთ რას აკეთებს ქვეყნის „მხსნელი ინტელიგენცია“ სოფლათ. აიღეთ ამდენი ჩვენი ნასწავლი ახალგაზღობის უუმრავლესობა (ექიმები, ვე- ქილები, ინჟინრები, სამღვდელოება და სხვა-და-სხვა) დაუ- კვირდით მათ ცხოვრებას, მათ მიმართულება-მიდრეკილებას, მისწრაფება-იდეალებს, მათ ურთიერთობას, სიმპატია-ანტიპა- ტიას, და სულ ქვეშ მიბრძანეთ—რას აკეთებენ, რითი ეხმა- რებიან გაქირვებულ მოძმეთ?! ღმერთმა ქნას რომ მე ვცდე- ბოდე, მაგრამ ჩემდა თავათ მათ შორის შურისა, ჯიბრისა და ეგოისტობის მეტს არასა ვხედავ. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაი- დგან იგინი მონანი არიან ცხოვრებაზე ყალბის შეხედულები- სა, სადაც, ვინც ჯოხის ხელში აღებას მოასწრებს, კაპრალიც ის არის და ყველაც მას ემორჩილება!

* *

ავილოთ სულ ცხელ-ცხელი მაგალითი, თუმცა ყვე- ლას თავი მოაბეზრა—ქიათურის მრეწველთა კრება და ამ მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე, მისი თანაშემწენი. რა გააკეთეს, ვის რა არგვს საიმისო, რომ ვერ დაგვენახვა, ვერ დაგვეფასებინა. „ქიათურელ მუშათა მდგომარეობა ცუდია: არც შესაფერი ბინა, არც შესაფერი ქაბა-სმა, არც საკმაო საექიმო დახმარება, არც საკმაო გონებრივი სახრლო მათ არა აქვთ, ყველა ამაში მუშა ხალხს დახმარება სჭირია“ („ცნ. ფურ.“ № 2056.) მაშ რაღა გააკეთა საბჭოს თავმჯდომარემ და მისმა ინტელიგენტმა თანაშემწეებმა. სხვა ბევრი რამაო,

საზოგადოებრივი.

გაიძახის ცარიელის სიტყვებით „ცნობის ფურცელი“ და ქვეყანას არწმუნებს, კვალელები ბრძენები არიან—ქიათურელ მრეწველობის საქმეში არა გაეგებათ—რა ღ მხოლოდ ზღანოვიჩის გადაყენება უნდოდათო! რისთვის ბატონო? ნუ თუ არ იცით, რომ ბ. ზღანოვიჩის და მისთა მახლობელთა პირადობა, როგორც კერძო კაცებისა, ნათესავებისა და მეგობრების გარდა, არაფისათვის საინტერესო არ არის? ჩვენ ისინი დავაფასეთ როგორც საზოგადო მოღვაწენი, თითოეული მათი უდიერათ გადადგმული ნაბიჯი აღნიშნულ იქმნა მალაღებელ ფაქტების მიხედვით, მაგრამ „გარეშე“ კვლავ გვიკვირებს და გვეუბნება—„ყოლბ“ საბუთებზე და მყარებული თქვენი მსჯელობა ბ. ზღანოვიჩის შესახებო. მაშ ყური დავუდლოთ რასა გვწერს, ჩვენ სხვათა შორის ერთი მრეწველთაგანი (იხ. წერილი „შავი ქვის“ წვერთაგანისა).

* *

ახლა მიბრძნეთ, განა ხსენებული წერილის შემდეგ შეიძლება დავუჯეროთ ბ-ნ „გარეშეს“ სიტყვებს? (იხილეთ „ცნობის ფურცლის“ 2561 №-ში გარეშეს წერილი) განა აქვს რაიმე საზოგადო მნიშვნელობა ბ. ზღანოვიჩის მოღვაწეობას „შავი ქვის საზოგადოების“ დაარსებაში, როდესაც იგი მას სათამაშო ბურთათ გაუხდია?! (ცნ. ფ. № 2056 მეთაურის ავტორი კი რიხიანათ სწერს ამ „დიდი საქმის“ გამო). ჩვენ გვინდა გვრწამდეს რომ „გარეშე“ წინდაწინ განზრახულის აზრით არ სწერს, მაგრამ ისიც მტკიცეთა გვრწამს, რომ ბ-ნმა ზღანოვიჩმა ღელო გაიტანა არა იმიტომ, რომ იგი სიმართლეს ემსახურებოდა, გაიმარჯვა იმიტომ, რომ მოხერხებული გამოდგა, სხვადასხვა არა საპატიო ზომებს მიჰმართა, შუბლის კანი გაიმარჯრა, გაიმარჯვა იმ უკულმართ ხრიკების მეოხებით, რომლებითაც არა ერთს და ორს საზოგადო საქმის სათაურში დასკუბებულ „ინტელიგენტს“ გაუმარჯვნია ჩვენ კურთხეულ საქართველოში, სადაც კუქის მრწამსი და მადა განდიდებისა ბევრ ყოფილ და ღირსეულ ადამიანს უმრავლესობისათვის მავნებელათა ხდის. მაგრამ უმრავლესობა რა აინუნში მოსატანია, როდესაც ერთია გამარჯვებული!..

* *

ღიახ, საკვირველ არიან საქმენი ჩვენის იტელიგენციისა და „ქვეყნის ბურჯებისა“ თუ გნებავთ. საკმარისია გავიხსენოთ ოძისის მამულის ისტორია, უთანხმოება შემწირველსა და თავდაზნაურთა შორის, შედეგი თავადის ერისთავის სურვილისა და თქვენ წინ ნათლათ აღიმართება მთელი ბობოქრობა ჩვენებურის საქმეებისა, ძველებურის გულუბრყვილობისა და გულ აზოფოთებითაც წამოიძახებთ: „Пора родила мышь!“ ღიახ, ჩვენ ცხოვრებაში მთა—თავის შობს ხოლმე, იმის მაგივრათ რომ თვით მთა დაინგრეს თუკი ის ხელს უშლის საერთო კეთილდღეობას...

ნეტა როდის ველირსებით უკულმა ნახნავის წაღმა დავარცხვას მინც!?. *)

ი. მარჯანიძე.

*) აი მოკლე ისტორია ოძისის მამულისა. ამ ხუთის წლის წინათ, თ. ერისთავმა გამოუტახა ქართველ თავდაზნაურთა: მიერთვით საჩუქრათ ჩემი მამული თუ საშუალო სამეურნეო სასწავლებელს დაარსებთო. თავად აზნაურობამ საჩუქარს ხელი ვერ მოჰკიდა, რადგანაც საშუალო სამეურნეო სასწავლებლისათვის საკმაო თანხა არ მოეპოვებოდა. თ. ერისთავმა ეს იწყინა და ასეთივე თხოვნით მიმართა მიწათმოქმედების სამინისტროს. სამინისტრომ მამული, რასაკვირველია, სიხარულით იჩუქა, მაგრამ უღტიმატუმზე კი უარი უთხრა პატიცემულ თავდას... დღეს ამ მამულში საშუალო სასწავლებლის მაგიერ დაარსებულია სამეურნეო კურსები 10—12 პრაქტიკანტისათვის და იღებენ იმათ, „ვინც რუსული წერა-კითხვა და რუსული ენა იმდენათ იცის, რომ შეუძლია მოცხმინოს საგნების

გერანია. ტრესტები ესლა ისეთ „მოდერნიზაციულ“ რეორგანიზაციულ ვერსიას, რომელიც მის გავლენას. მაგალითათ, გერმანიის კონტინენტული ანტირეპუბლიკური მომხდარა. იქაურ ღირებულ რეორგანიზაციულ ტრესტისებური საზოგადოება შეუდგენიათ. კინც ამ საზოგადოების წევრათ ჩაქვერება, იგი ვაღდებულ სთება თვითთა მწკარი თავისი ღქსისა არ გაუდოს 24 კაპეკზე ნაკლებათ.—წასახაძე მაგალითათ.

ბელზია. ბრიუსელიდან სწერენ „პეტერ. უწიებებს“: დეპუტატთა პალატამ განახლდა თავის სსდომები საშობო განიკულების შემდეგ, და შეუდგა იმ კანონ-პროექტის განხილვას, რომელიც აკერ ხუთი წელიწადის უცდის თავის რიგს. ეს კანონ-პროექტი ესება მუშათა უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევას. ზირველათ ეს საკითხი აღიწერულ იქნა 1898 წელს, მის პალატამ მის განხილვამდის დაიხურა 1900 წელს მასში. ამ კანონ-პროექტის ძლით, დაქირავებული ვაღდებულა უხდოს მუშას მუშაობის დროს მომხდარ უბედურ შემთხვევისაგან მოსული ზარალი. მოქირავებულ უნდა გადაუხადოს განხილვების მუშას, თუ მას დასახინების გამო მუშაობა არ შეუძლია და ორ კვირასზე მეტი დრო გაუტრდა. ეს კანონი ერთნაირათ შეეხება ყველა უბედურ შემთხვევებს, მიუხედავათ იმისა, კდებს ბრალი მუშას თუ მოქირავებს. აქამდის კი სშირათ უბედურების ბრალი მუშას კდებოდა და ეს იწყებდა დაუსრულებელ ბრტესებს, რადგან კანონის დარღვევის დროს უხდებოდა თავის ჯიბიდან მუშის დაკმაყოფილება. ახლა კი, რადგან უფლებ უბედურ შემთხვევის დროს კანონის დარღვევით მუშა დაკმაყოფილდოს, ასეთი ბრტესები საჭირო აღარ ხდებიან. მაგრამ კანონ-პროექტში არ არის აღნიშნული რით უნდა განისაზღვროს დროს ეს ზღვევა. ეს კითხვა უნდა გარჩეულ იქნას ახალ პალატაში; წამოუყვებულ იქნება აკრთვე კითხვა სამედიტორთა საზარდის შემოდების შესახებ, როგორც ეს ცემინაში არსებობს. იქ სუდი შესდგება ორი კანონის დარღვევის, ორი მუშისა და მათი თავმჯდომარის—იურისტისაგან. ამ კანონ პროექტის შესახებ კამათი უკვე დაწყებულია და რით გათავდება საქმე, ჭერ მსჯედი გამოსაცხმობია.

ბოლანდია. როგორც „კვალის“ წინა ნომერში გვქონდა აღნიშნული ამიტერადში რეინის გზის მუშები გაიფიცენ. ამ ყამათ გაფიცვა უკვე დამთავრდა მუშების სრული გამარჯვებით. მუშებმა თურმე გადასწვიტეს უკიდურეს ღომებისთვის მიემართათ და მოელ ქვეყანაში სუფაველათა გაფიცვა გამოეცხადებოთ, მაგრამ ამ დროს გოლანდიის რეინის გზის ამხანაგობისაგან მოვიდა ტელეგრამა, რომ ამხანაგობა მუშების ყველა მოთხოვნაღებებს აკმაყოფილებსო. სასკლშიფო რეინის გზის მართველობაც ასე მოიქცა. ამნაირათ შეწყვეტილი მუშაობა ყველგან განხლდა.

ბალკანეთის კონსოლი. ბალკანეთის კონსოლი მცხოვრებლებს ეშინიათ ახლო მომავალში სამიხრო არა მოხდეს რა და ცდილობენ მომხადებულ შეხედეს სხაიფათო მომავალს.

ამ შინათ რუმინის მთავრობამ ავსტრიაში 60.000 თოფი შეუკვეთა და კრუზის ფორმასთან მოღვაწეობა აქვს და სოსოვს სულ ახლო მომავალში 450 ზარბაზნი დამიმზადეო. სერბია-ბუღაშტის ფორმებს 10 მილიონ რეველკერის მატრონებს ამზადებებს. რასაკვირველია, არც ოსმალეთსა სძინავს. იმანაც 200.000 მუხერის თოფი გამოიწერა. ამასთანავე მაკედონიის უმთავრესი კომიტეტებ ყველგან, სადაც კი შეიძლება, ეიდულობს საომარ დადაებს და მასალის და აგროკებს ფულებს. ამ კომიტეტმა მაკედონიის ყველა საზოგადოებას შემდეგი მოწოდებით მიმართა:

ახსნა განმარტება რუსულ ენაზე. აქ არ მოეთხოვებათ ცოდნა ქართულის წერა კითხვისა, ქართულის მეტყველებისა, რადგანაც სკოლა სამინისტროსა. ამ გვართ საშუალო სამეურნეო სკოლა კი არა, მეორე წინამოდვარიანთ კარისთანა სკოლაც არ გვეღირსა.. (ვრცლათ იხილეთ მეთაური წერილი „ივერისა“ № 28).

ი. მ.

„მაღე დადგება ფრად საყურადღებო და დიადი დღეები განმათავი-
სუფლებული საქმისა და არგანიზაციისთვის. რილსკის მთებს
იქით შეუფრთხილეთ, რომელნიც შარშან შემოდგომასზე იარა-
ღით ხელში ამხედრდნენ და გამოაცხადეს: „თავისუფლება ან
სიკვდილი“. მტკიცეთა და შეურყეველათ გადასწვებოთ არამც
თუ განაგრძობთ ბრძოლას გაზაფხულზე, არამედ გაძლიერდით და გა-
ფართოვდით იგი. ჩვენ გვაქვს შეურყეველი ტრადიციები, რომ წმიდა
სიტყვები: „თავისუფლება ან სიკვდილი“ თავისი ძლევა-მისიდე-
ბით გვძლავს მაღე დასტეპავს უგულვან მკვედრის მთასა და ბაჭში;
სადაცა დაკარავს უკანასკნელი მეთორმეტე საათი და ვაი მათ, ვინც
ამ დიდებულს და სამკვედრო-სატიცოცხლო საათს მოუმზადებელი
დახვდება... შემდეგ კომიტეტს ანსტრუქცია აქვს მოუყვანილი,
თუ რეგორ და რანაირათ უნდა მოგროვონ ფული, რომ განასარ-
ცოელონ საქვეურო განმათავისუფლებელი საქმე.

ამონაკუნესი.

(ლეჟი პროზაო).

(კუძღვნი ბ-ე ც.ს.ს).

უმადლო შრომით დაღლილ-დაქანცულს სევდა-ვარამი,
ვით ნისლი—მთას, გულს შემომავწვა და უიმედოს, სასომიხ-
დილს, მიტოვებულსა ნაკვერჩხალივით მღელარე ცრემლი
თვალზე მომადგა! კვლავ მეტირება, მაგრამ... ტირილით რა
მოვუმატო დაკარგულ დროს, წარსულ ცხორებას, ვის ვაგრძ-
ნობინო ჩემი ტანჯვა, ჩემი ვაება, ვაი თუ თვით ცრემლიც
ჩამომგრთვას ლაჩარ-მხდალობათ!..

წარვიდენ დრონი... გულისტკმანი გადამიბრუნეს: აღარ
მრწამს, აღარ, არცა ძმობა, არც მეგობრობა, ცარიელ სი-
ტყვამ ყველა საქმეს ბოლო მოუღო და ბობოქრობამ შობა
ღმერთ ფარცხელობა: იმას ვმსახურებ, ვინც რომ გულით
მეჯაგრებოდა, ნისთვის ვწუწულობ, ვინც მტრათ მიჩნდა, მეგუ-
ლებოდა! ფუ, ამ სიცოცხლეს, შერცხვენო და გათახსირე-
ბულს, ფუ, ამ ყოფნასა, თუ კი ბოლო აღარ ექნება!.. ჰმ,
ბოლო-მეტქი!.. განა ბოლო ექნება როსმე ჯოჯობეთისა
მანქანებას, გრძნულის მახეს, და ან ვის ახსოვს ტრფობის
ნთაზე შემომდგარიოს, თუ კი ერთხელვე დაუკარგავს სულის
სიმშვიდე?!.. და მე კი?...

გულით უძღვები, სულით შმაგი, ნებით უძღვური შავ-
ფიქრთა კონათ შევუქმნივარ, მგონი, განგებას და სამარემდი-
საც ისე მივალ ვკალზე მჯდომი, რომ ნახევრადაც ვერ შეს-
რულდეს ჩემი ოცნება!

ოხ, ეს ოცნება! ავადობა იგი სულის, გულის მო-
მკვლელი, ფიანდაზია ტანჯვის ცრემლში ამოვლებული, ტკბი-
ლია იგი, ვით სატრფოსის წრფელი აღვერსი, მაგრამ—ცულ-
ღუტი, როგორც ბენი პოეტისთვის!

შავო ფიქრებო, შესაზარნო, რისთვის მომძებნეთ, რის-
თვის შექმნილხართ ჩემდა მტერათ, ჩემ საქენჯნელათ?! რა,
რა დაგიშავე, შე უკემბო ბედის-მწერალო, რომ მუდამ ოხვ-
რა, მუდამ ქენჯნა თავს დამტრიალებს?!
შენ რაღას მიზღვერ, გამურულო ჩემო ოთახო! ერთი
მიტხარი: არც ვიტრო, არც ვივაგლახო!

ჩუ, რა ხმა ისმის!
ქარი გმინავს, ქარი ღრიალებს, ცა რისხვით სტეპავს,
გულმოსულათ ღვართქათვიანობს და დედამიწას ემუქრება მალ-
ლიდან ზეცა?
ღიად!
იბორგე ქარო, აღელდი ზღვავე, წვიმავ წამოდი: მირგვე-
მორგვევთ ყველაფერი, რაც გზაში შეგხვდეთ, გამოუცვალეთ

ზედაპირი მთელ დედამიწას, წარხოცეთ ქმუნვა, მწუხარება,
შავი ფიქრები და... ქვეყნის შვებას ანაცვალეთ ყველა მხდა-
ლები!

ქვეყნის შვებას ანაცვალეთ ყველა მხდა-
ლები!

შორს ჩემგანც, ცრემლო, გულჩვილობავე, გულჩვილობავე,
ლობავ, ქედს არ მოვიხბრი, ვასკლით გულზე, ჩემო მტარვალ-
ნო! თქვენ თუ ჯოჯობეთს დაადარეთ ჩემი ცხოვრება, მე
აზრით დამაქვს, გულით ვეტრფი სამშობლო კერას... დეი
მომკალით.. ხორცს მომიკლავთ, სულს კი ხომ ვერა?
ია ვკალაძე.

ზ ა ნ თ ი ა ღ ი.

ციკრის ვარსკვლავს, სხივით მოსილს,
სატრფიალოს ერთათ-ერთსა,
ცის და ქვეყნის შუამავალს,
კავშირსა და შემავრთსა,
გარიჟრაჟის მოციქულსა
თვით სამყარო გაერღვია
და სიბნელით მოცულა წალკოტს
სხივი უხვათ დააფრქვია.

ვარდა და ვაზს შეგრეხილებს
ხელი ხელში გაეყარათ,
ნარგიზსა და იასამანს
მორცხვათ თავი დაეხარათ.

და მათ შორის ობლათ მყოფი,
ფოთლებ შუა განაბული
განთიადის შესაპყრობლათ
აფრთხილდა თვით ბულბული.

პირზე ნამი მიიპკურა
აიახმათ მონასხურბი,
დაუსტვინა, არაკრაკდა,
ზეცას სტყორცნა მან ზევსური.

კიურ მადლით მოხიბლულსა
აუჟღერდა მგოსანს ჩანგი,
მისი გულის გასაღები,
განუყრელი ანხანავი,

და მის ხმებში ნათლათ კრთოდა
ორ-ღესული რამ მახვილი,—
ხან ნალველი, ხან საგმირო
მოწოდება—მოძახილი.

გულის ნადებ სიმთა ეღერა
ბანს აძლევს და ადასტურებს
და მგოსანიც მოხიბლული
განთიადის სხივს შეყურებს.

მისი გულიც ჩანგს ბანს აძლევს
საგმიროს და სახმატკბილოს
მათა ასე შეთანხმება,
ვფიცავ ვერვინ გააწბილოს.

დ. თამაშვილი.

* * *

ვითა ყვაილი ობლათ შთენილი
უწყლოთ უმზვოთ ადრე დამზრალა,
ისე ჩემ გულში წრფელი გრძობანი
გამოუთქმელათ ბევრჯერ ჩამქრალა.

მუხთალი სოფლის უსამართლობით
ბევრჯერ ტანჯულა და წამებულა
უგულო კერბთა საზიზღარ ქვეით
ცეცხლი გენია იქ აღგზნებულა.

მაგრამ გულის მინც სწამს მომავალი
და არ იფიქრებს ქეშმარიტებას,
ებრძვის შფოთიან ცხოვრების ტალღებს
და მით ეძლევა კვლავ ნეტარებას.

ტანჯვა-ვაება, სულის კვეთება,
მას ვერ აფიქრებს მოძმეს ჩაგრულსა
მისთვის მკენესარი, მისთვის წღერალი—
მისთვის აუღერებს ობოლ ჩანგურსა.

თუნდ ჯოჯოხეთის ცეცხლის გენია
გარს შემოევზნოს, შემოვხვიოს,
თუნდა უღროლოთ და ულომობელათ
სიკვდილი ნორჩსა უღვითოთ ეწვიოს.

მას არ ინაღვლის საბრალო გული,
ეს ტანჯვა მისთვის სინაზულია,
რადგან იცის, რომ ტანჯვის მიზეზი
ბედკრული მოძმის სიყვარულია!..

ღარია ზუნდაძისა.

ქურნაღ-განკეთებიდან.

„ტფილისის ფურცელი“ საყურადღებო ამბავს გადმო-
გვცემს ქუთაისურ ინტელიგენცთა ცხოვრებიდან. აი საქმე
რაშია:

«**31** იანვარს გაიჩნა ქ. ქუთაისის მომრიგებელ მოსა-
მართლესთან შექმნილი საქმე: კიდეც კლიდონა ჯორთქიფანი-
ძეს აღებულე ქსენობა; აღმასრულებელი ფურცელი 1000 მანე-
თისა ჩვენი საურთიერო კრედიტის საზოგადოების დარქ-
ტარის კ. ბ. ჯორთქიფანიძის სახელზე, რომელსაც 1884
წლიდან, თურმე. ერთი კანკიაც კი არ გადაუხდა ამ კლიდონს.
შეკვლევს ბოლოს მიუმართავს სასამართლოს ბოქაულისათვის
და უთხოვნი, რომ კ. ბ. ჯორთქიფანიძისთვის დაეკავუ-
ბია ნაწილი იმ ჯამაგირისა, რომელსაც ის იღებს საკრედიტო
ბანკიდან. როგორც მისი დარქტორი. ბოქაულის, რასაკვირვე-
ლია, უწევს გაუგზავნა ბ. კ. ბ. ჯორთქიფანიძისთვის და
აღმასრულებელი ფურცელი ბანკის მართველობისათვის წარუდ-
გენია. 12 მასის, 1901 წლის: საზოგადოების მართველ-
ბას ამკანონიერ მოთხოვნაზე, მასუხიც კი არ გაუცია, ბო-
ქაულის რამდენჯერმე მიუკითხავს ამ საქმის შესახებ, მარა
მასუხი ვერ მიუღია. ბოლოს მას უკანვე მოუთხოვია აღმა-
სრულებელი ფურცლის დაბრუნება და აგრეთვე აღნიშნა იმ
მიზეზისა, რომლის გამო მის მოთხოვნას აკერ წელი და
ოთხი თვეა, მასუხის დირსათაც არ თვლიან. ახლაც კი აღმა-
სრულებელი ფურცელი დაბრუნებისათ უკანვე ქადაგდთან კრ-
თათ, რომელსაც დაუბრუნებიათ უკანვე ქადაგდთან კრ-
თათ, რომელსაც იგივე მოვალეა ამ ქადაგდში, სხვათა შორის,
ნათქვამია, რომ ბანკის მართველობა თითონ უჭერდა ჯამა-
გირს თავს. ჯორთქიფანიძეს თავის სასარგებლოთ, რადგან
იყო და ახლაც არის მოვალე თითონ კრედიტის საზოგადოე-
ბისა. კლიდონა ჯორთქიფანიძისა, რასაკვირველია, ვერ და-
ამყოფილას ასეთმა თავისებურმა მასუხმა და საჩივარი განა-
ცხადა ახლაც ზირდაზირ საკრედიტო საზოგადოებაზე, სამ.
სამართლ. წესდ. 639 და 640 მუს. ძალით. მომრიგებელმა
მოსამართლემ დააჯგინა: გადახდეს საკრედიტო საზოგადოებას
1000 მან. თავის ზრცენტებით და საქმის საწარმოვო ხარჯის

ზედადატებით, და ეს გადაწვეტილება ახლაც იქნეს სა-
სრულებელი მოყვანილი.

როგორც სედავთ, საუცხოვო სუპადია ჩვენს საკრედი-
ტო საზოგადოების ზოგიერთი ჩვეულებებისა.

**შავი-ქვის მრეწველთა მესუთე კრება ქუთაისში.
წერალი მესუთე.**

როგორც მოსალოდნელი იყო, კრების უმრავლესობამ
საბჭოს თავმჯდომარეთ ისევ ბ. ზდანოვიჩი აირჩია. ამით და-
ავიერგვინა მრეწველთა მესუთე კრებამ თავის მეცადინეობა.
აქ არაფერი გასაკვირალი არ არის; პირიქით, გასაკვირალი
ის იქნებოდა, რომ კრების უმრავლესობა, რომელიც ყველა-
ფერში ბ. ზდანოვიჩის მონა-მორჩილი და ხელ-ქვეითი შეი-
ქნა, ბ. ზდანოვიჩის წინააღმდეგ წასულიყო და ვინმე სხვა
პირი აერჩია. თუ რა ამოქმედებდა და ამოძრავებდა ამ უმრავ-
ლესობას, როცა იგი თითქმის ერთი თვის განმავლობაში
სისტემატიურათ გაურბოდა სინამდვილის გაგებას და ყოველ-
გვარი საშვალებით ებრძოდა იმათ, ვინც სიმართლის გამო-
მჟღავნებას ცდილობდა, და როცა მან საბჭოს თავმჯდომარის
სავარძელზე ისევ ბ. ზდანოვიჩი წამოასკუბა, ამას ჩვენ და-
წვრილებით თავის დროზე გავიგებთ. ჩვენ სრულებით არ
გვემინია იმის, რომ ამოდენა ლაპარაკით ბ. ზდანოვიჩზე ჩვენ
მკითხველს თავი მოვაბეზროთ. როგორც ბ. ზდანოვიჩში, ისე
მის გარშემო დიდ ბოროტებას აქვს ფესვები გადგმული; ამი-
ტომ ჩვენ უნდა მივსდეთ მას ბოლომდის, შევისწავლოთ და
გამოვიტანოთ იგი დღის სინათლეზე და დავარქვათ მას თავის
ნამდვილი სახელი. აქ კი მოგითხრობთ, თუ რა პირობებში
მოხდა ბ. ზდანოვიჩის არჩევა.

მკითხველებმა უკვე იციან, თუ რა სამარცხვინო როლის
თამაშობდა მესუთე კრებაზე მისი უმრავლესობა; იციან აგრე-
თვე ისიც, თუ როგორ უჭერდა მხარს ამ უმრავლესობას
კრების თავმჯდომარე, ცვიტლნი. ყველა ამათ ერთათ-ერთი
მიზანი იყო ბ. ზდანოვიჩის არჩევა და ამისთვის არაფერს არ
ზოგავენ, არაფერს არ ერიდებოდნენ. 30 იანვარს, თავმჯდო-
მარემ განკარგულება მოახდინა, რომ მეორე დღეს თეატრის
დარბაზში გარეშე ხალხი აღარ შეეშვათ, რადგანაც არჩევნი-
ბი უნდა მოხდეს და მასურებლები ხელს შეეგვიშლისო. მიუ-
ხედავად ამისა 31 იანვარს, თეატრის შენობას დიდ-ძალი
ხალხი მიაწყდა; დარბაზში შეეშვეს მხოლოდ მანდილოსნები,
დანარჩენი კი გარეთ უცდიდა არჩევნების ბოლოს. ეს არჩევ-
ნები მრავალ მიზეზებზე გამო მეტათ საინტერესო შეიქმნა სა-
ზოგადოებისათვის. გონებით უბადრუკათათვის ეს გაუგებარია;
თავისი პირადი ინტერესებით აღტურვილ ვაჰბატონთ ვერ
წარმოუდგენიათ, რომ ჰიათურის მრეწველობას მარტო თითო-
ოროლა ჩარჩ-მრეწველებისათვის როლი აქვს მნიშვნელობა,
იმათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ საზოგადო საქმის სათავეში
მოქცევა მარტო იმათთვის კი არ არის საინტერესო, ვინც
იქ მოექცევა, არამედ მთელი საზოგადოებისათვისაც. აი კი-
დეცა მოახწია არჩევნების დასაწყისი. მასურებელი საზოგა-
დოება დარბაზში ცოტაა, გარდა ქალებისა, რომლებიც მაღლა
ქანდარაზე მოთავსებულან. პარტერში სხედან წევრები, მარ-
ცხნით ბ. ზდანოვიჩის ხელ-ქვეითი პარტია, მწყობრათ და
მქადროთ ჩამწყრივებულა; მარჯვენა მხარე უკავია ოპოზი-
ციას, აქ უფრო ხალვათათ არიან. ორთავე ბანაკს სერიოზუ-
ლი სახე აქვს, დაღვრემილობაც ეტყობა. ეტყობათ, რომ
დღეს უკანასკნელი განსჯის დღე დამდგარა. ორთავე ბანაკში
რალაც წყნარი, ჩუმი ფაცა-ფუცია, გადაკვრ-გადმოკვრით მუ-
საიფრ და ნელი ხმაურობა. ბელადები დრმა ფიქრში არიან
გართული, ვეი თუ დაფარულმა კენჭის ყრამ არ გაამართლოს

დაპირება, როგორ გამოვიცნოთ ვინ თეთრი მოგვცა, ვინ შავი. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ გაშავდება თუ არა ბ. ზდნოვიჩი დღეს, უმრავლესობის ბედი მაინც მის ხელშია, ამიტომ თუ გაშავდა, მტყუანზე და მართალზე ერთნაირათ იყრის ჯავრს, და ამით აიხსნება კრების უმრავლესობის ერთსულობა. გამოცდილებამ დაარწმუნა ბ. ზდნოვიჩი მესამე კრებაზე, რომ ასეთი უმრავლესობა, ე. ი. წვრილი მრეწველები, მისთვის გამოსადეგი იარაღია, და კიდევაც მოიმწყვდია თავის კლანჭებში; დღეს იმათ თავისნებით განძრევაც არ შეუძლიათ უზდნოვიჩოთ. და აბა წარმოიდგინეთ, ასეთმა ხალხმა მას შავი გენტი როგორ უნდა ჩაუდგოს, თუნდ დეურული კენჭის ყრის დროს.

დარბაზში არა ჩვეულებრივი სიჩუმეა. ბ. ზდ-ის ერთიმომხრეთაგანი და იმავე დროს მისი ხელქვეითი, პეტრე წულუკიძე, სიტყვას თხოულობს. ორატორი ქებას ასხამს კრების თავმჯდომარეს, ცეიტლინს, რომელსაც პირველათ შეუგონებია ქიათურის შავი-ქვის მრეწველებისთვის კრების (СХБЗДХ) შემოღების აზრი. ამის თაობაზე ცეიტლინმა თურმე პევერი უჩიჩინა მრეწველთ, რომლებმაც შემდეგ ბ. ზდნოვიჩს მიანდვეს თხოვნის გაგზავნა სადაც ჯერ იყო. ამისათვის ორატორი მადლობას უცხადებს ბ. ცეიტლინს, და აგრეთვე ბ. ზდნოვიჩსაც, თუმცა ამ უკანასკნელს მან თავი მოქრა თავის სიტყვით. აქამდის ჩვენ გვეგონა, რომ ის რაც ბ-ნ წულუკიძემ ცეიტლინს მიაწერა, ბ-ნ ზდნოვიჩის ერთგვართი სამსახურია იყო შავი-ქვის მრეწველთა წინაშე. ეს ერთათ-ერთი საქმე იყო, რითაც ბ. ზდნოვიჩს თავი მოქონდა და ამაცობდა. დღეს კი, თვით მისივე დამქაშის პირით გამომჟღავნდა, რომ თურმე ესეც სხვას მიეწერება. ამ ამბის გამომჟღავნებისათვის სწორეთ მადლობის ღირსია თ-დი წულუკიძე. შემდეგ გაიმართა კენჭობა. ყუთი დაუდგეს ორ პირს: ბ. ზდნოვიჩს და თ-დ ანდ. ერისთავს. სცენაზე დარჩენ მხოლოდ ოთხი პირი: კრების თავმჯდომარე ცეიტლინი, წარმომადგენელი: შინაგან სამინისტროის ბ-ნი პრინცი, რკინის გზის ბ. სოლოვიოვი და სამთო ინჟინერი მარკოვსკი. პეტრე წულუკიძე და კიტა აბაშიძე ერთ-ხმით გაიძახიან: „მარკოვსკი ნუ დარჩება სცენაზე!“ პატარა გაფითრილი თავმჯდომარე თითქო კიდევ უფრო დაბატარავდა და გაფითრდა; თავმჯდომარემ და მარკოვსკიმ ერთი-ერთმანეთს რაღაც გადუქურქულეს; შემდეგ ამისა ცეიტლინი აცხადებს, რომ მარკოვსკის გაგდება სცენიდან არ შეიძლება, რადგანაც მას განსაკუთრებული მონდობილობა ქონებია კავკასიის სამთო გამგეობისაგანო. ამასობაში დაიწყეს გამოძახება. ცეიტლინი გაჩერდა ყუთებთან და ამომჩვევლთ დაუწყო ჩუმი ლაპარაკი და ხელის ქნევა. ზოგიერთ შემთხვევაში ის თითონ სწევდა მალა მაუდს და ეუბნებოდა რომ აქ თეთრია და აქ შავია, ეს ზდნოვიჩისაა და ეს ერისთავისა. რამდენიმე წევრმა პარტიტიდან შენიშნა, რომ თავმჯდომარე მიუდგომელი უნდა იყოს, იგი ყუთებს არ უნდა ეკარებოდეს, რომ გაღენა არ იქონიოს ამრჩევლებზე კენჭის ჩაგდების დროსო. ბ. ცეიტლინი კი ბოროტათ სარგებლობს თავის მდგომარეობით: მას უფლება არა აქვს ყუთებთან იდგეს და მით უმეტეს ამომჩვევლთ გაელაპარაკოსო. თუ მიიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომელიც კრებაზე გამოიკვია, თქვენ ნიხვდებით, თუ რამდენათ სამართლიანი იყო ასეთი შენიშვნა. მაგრამ ბ-ნმა ცეიტლინმა მაინც არ დაიშალა თავისი: იგი ერთ წუთს ვითომც ანებებს თავს ყუთებს, მაგრამ მეორე წუთში ისევ ყუთებს მიაშურებს თავზე ხელმოკერილი, და ისევ წინანდელი ჩურჩული და ნიშნება. ამას მოყვა ხელახალი შენიშვნა მეორე წევრის მხრით, რაზედაც პასუხს თავმჯდომარის მაგივრათ აძლევს ბ-ნი პრინცი, რომელიც თავმჯდომარეზე ნაკლებ არ იყო დანტერესებული არ-

ჩვენების შედეგით. ეს აცხადებს, რომ გაჩერდით, თორემ თქვენ ყოფაქცევას გუბერნატორს მოვასხენებ დღესვეო. ამნაირათ, ყველას, ვინც წესიერების დაცვა მოიხსენიებდა, თუ ჩასჩარეს პირში, და ბ-ნმა ცეიტლინმა დაურიდებოდა თანაგრძობ თავისი მოქმედება: იგი საშინლათ წუხდა, ცმაკურობდა ხტუნავდა, მაგრამ ყუთებს მაინც ვერ შორდებოდა, სე გეგონებოდათ, რომ იქ, იმ ყუთებშია მისი ბედი და იბალიო. რა აწუხებდა, ან რა აშფოთებდა ბ-ნ ცეიტლინს, თუ იგი მიუდგომლათ იქცეოდა, და ვისმეს გაშავება ან გათეთრება პირადათ მისთვის დიდი დანაკლისი ან შეძენა არ იყო? მაგრამ ამას ახლა თავი დავანებოთ.—აი კიდევაც გათავდა გამოძახება; ხმაურობა მიწყნარდა, თითქო ყველამ სული განაბაო. თავმჯდომარე ითვლის პირველეთ ერისთვის კენჭებს; დათვალა სულ 84 თეთრი. გაისმა ზდნოვიჩის პარტიაში ტაშის ცემა, ე. ი. ერისთავს მიულოცეს გაშავება. ზდნოვიჩს ამოუვიდა 119 თეთრი. შეიქნა გაცხარებული ტაშის ცემა და ყვირილი ოპოზიციის მიმართ: „წადით, დაიკარგენით, ახლაც აღარ დავგანებებთ თავს!“ ეს იყო პირველ დღეს.

მეორე დღეს, ე. ი. 1 თებერვალს, მოხდა საბჭოს წევრების არჩევნები. მაგრამ ეს აღარავისთვის აღარ იყო საინტერესო, არც წევრებისთვის და არც გარეშე საზოგადოებისათვის. სხდომას გარეშე ხალხი თითქმის აღარ დასწრებია. ოპოზიციის წევრებიც ნაკლებათ დაესწრნ. რაც შეეხება უმრავლესობას, იმას ასლა დაეჭირა პარტიტის ორივე მხარე, და თავის თავს სრულ ბატონათ თვლიდა. მართალია, მას აღარ ქონდა წინანდელი ხალისი, სიცოცხლე, იგი თითქო ძალა გამოლეთულ ადამიანს მიაგავდა, იმ ადამიანს, რომელმაც ბევრი იშრომა და დაიღალა. ახლა იგი ლაღობს, ვინაიდან თავის მიზანს მიხვდა—ზდნოვიჩი ისევ დასკუბა თავზე. უმრავლესობას აღარაფერი აღარ აინტერესებდა საბჭოს წევრების არჩევნების წინ, რადგანაც წინდაწინ იცოდა, ვინ იქნებოდენ არჩეულები, ბ. ზდნოვიჩს ამის შესახებ უკვე მიცემული ქონდა შესაფერი ბრძანება: მას უეჭველათ უნდა დაეჯილდოვებია თავის ერთგული ყმები, განსაკუთრებით ისინი, ვინც უფრო ისახელა თავი მის გათეთრებაში. ასეთები იყვენ ივანე ნიჟარაძე, ბართლომე მოსეშვილი, გ. ცერცვაძე, ავგერინო, კრინიცი და კიკნაძე. მარა უფრო ყველაზე მეტი ხმა ბარათებით მოუვიდა ნიჟარაძეს (56), შემდეგ ც-ძეს, ოგანეზოვს, მოსეშვილს, თითოეულს დაახლოვებით 50. იმავე დროს დ. ნ. ბაქრაძემ მიიღო 5 ხმა და ნ. ი. ნიკოლაძემ 2. კენჭი იყარეს: ნიჟარაძემ, ცერცვაძემ, მოსეშვილმა, ავგერინომ, კიკნაძემ და ბარათაშვილმა. არჩეულ იქნენ წევრებათ: ნიჟარაძე, ცერცვაძე, მოსეშვილი და ავგერინო, ხოლო კანდიდატებათ კრინიცი, კიკნაძე და ან. წერეთელი. ამნაირათ საბჭოში დარჩენ ყველა ძველები, გარდა ბართ. მოსეშვილისა, რომელმაც მესუთე კრებაზე ისახელა თავი ბ. ზდნოვიჩის დაცვით და თავგამოდებული მომხრეობით. ბ-მა ზდნოვიჩმაც გადახედა მას თავის მოწყალე თვალათ და საბჭოს წევრობა უბოძა. სარევიზიო კომისიის და ეაგონების და ბაქნების კომიტეტის წევრების არჩევნებით თავს აღარ მოგაბეზრებთ, ესეც იგივე განმეორება იქნება, შევნიშნავ მხოლოდ, რომ სარევიზიო კომისიის წევრათ არჩიეს ერთი ისეთი პირი, სახელდ. ნიკ. ყაფშიძე, რომელმაც რუსული წერა-კითხვა, როგორც ამბობენ, არც კი იცისო; მეორე მხრით ვაგონების და ბაქნების კომიტეტში არ აირჩიეს ისეთი პირი, რომლის მიუდგომელი და სასარგებლო მოღვაწეობა დასახელებულ კომიტეტში ერთხმათ იქნა აღსარებული კრებაზე თვით ამავე უმრავლესობის მიერ (ე. ი. კარპე მოდებაძე), რადგანაც ეს პირი ოპოზიციის ეკუთნოდა.

ამით დასრულდა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა მეხუთე კრება, რომელმაც შეარცხვინა და თავი მოსკრა ქართველ მრეწველთა კლასს. დიდი ხანი გაივლის, სანამ ქართველი მრეწველები გაასწორებდნენ იმ შეცდომებს, რომლებიც იგინმა ამ კრებაზე დაუშვეს. მაგრამ ამაზე შემდეგ. აქ მკითხველის ყურადღებას მივაქცევ ერთ მეტათ საინტერესო გარემოებაზე. ჩვენ ვამბობთ ან. ერისთვის კანდიდატურის წამოყენებაზე საბჭოს თავმჯდომარის ადგილზე. ვინ არის ანდ. ერისთავი, რომელ ჯგუფს ეკუთვნოდა ან ემხრობოდა იგი აქამდის ან რომელს ემხრობა დღეს? აი საკითხი, რომელიც ალბათ ყველას დაეხება თავში, როცა ერისთავმა თავის კანდიდატურა წამოაყენა. ჩვენ არ ვიცნობთ მას, როგორც საზოგადოებრივ მოღვაწეს, ვინაიდან აქამდის მას ჩვენ ვერსად ვხვდავდით, საზოგადოებრივ ასპარეზზე მოქმედს. ამიტომ ჩვენ არ ვიცით, რომელ ჯგუფს ეკუთვნოდა იგი აქამდის და ან რომელს ეკუთვნის დღეს. ბ-ნმა სერ. ჯაფარაშვილმა (იხ. „ივერია“, № 21) გამოაცხადა, რომ ან. ერისთავი და ბ. ზდანოვიჩი „ეკუთვნოდნენ ერთ და იმავე წრეს და ამასთანავე პირადი ამხანაგებიც იყვნენ“. ეს წრე თურმე, იმავე ავტორის სიტყვით, ებრძვის „ყოველივე ბიწიერებას საზოგადო საქმეებში“ ამიტომ ბ. ჯაფარაშვილი ან. ერისთავს გამცემს და მოლაღატეს უძახის. მეორე მხრით გაზ. „ახალი მიმოხილვა“, ზდანოვიჩს, ერისთავს და კვლევებს ერთ და იმავე პროგრესიული ჯგუფის წარმომადგენლებათ თვლის; იმათ შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს, გვეუბნება ბ. გ. „ახალ მიმო-ში“, და თუ ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, ეს მხოლოდ გაუგებრობა არისო. ნეტარ არი-არაიან უვიცი, რამეთუ იმათ არაფერი არ გაეგებათ! შეიძლება ზდანოვიჩი და ერისთავი მართლა ეკუთვნოდნენ ერთ და იმავე წრეს, როგორც ამას „ივერიის“ ავტორი ამტკიცებს; მაგრამ რაც შეეხება კვლევებს, ეს ან ცილის წამებაა და ან სრული უვიცობა. კვლევებებს არ წამოუყენებიათ ან. ერისთავის კანდიდატურა და ვერც წამოაყენებდნენ. მიუხედავად ამისა, კვლევებმა ოპოზიციის დანარჩენ წევრებთან ერთად მას თეთრი კენჭი ჩაუგდეს. ასეთ მათ მოქმედებას აქვს, სხვათა შორის, ორი განსამართლებელი მიზეზი: ერთი ისა, რომ საქმის ინტერესი მოითხოვდა ბ. ზდანოვიჩის გადაყენებას; ანდ. ერისთვის გაყვანას კი ბევრათ უფრო მეტი შანსი ჰქონდა, ვინემ სხვას; მეორე ის, რომ ან. ერისთავმა, რომელიც ბ. ჯაფარაშვილის სიტყვით, იმავე წრეს ეკუთვნოდა, რომელსაც ეკუთვნის თვით ბ. ზდანოვიჩი, თავისი კანდიდატურის წამოყენებით, საქვეყნოთ დაგმო და გაკიცხა ბ. ზდანოვიჩის მოღვაწეობა, როგორც საბჭოს თავმჯდომარისა. აქედან აშკარათ ჩანს, რომ ბ. ერისთავი ღრმად დარწმუნებულია ბ. ზდანოვიჩის შეუსაბამო მოღვაწეობაში, როგორც საბჭოს მეთაურისა, თორემ ასე აშკარათ თავის მეგობარის და თავის წრის წინააღმდეგ ვერ წავიდოდა თუ სულ დაცემული ადამიანი არ იყო. ბ-ნმა ჯაფარაშვილმა კი და მასთან ერთად ეგრეთ წოდებულმა ქუთაისის ინტელიგენციამ ან. ერისთვის ასეთი მოქმედება ჩათვალა გაცემათ, დალატათ. მაგრამ ბ. ჯაფარაშვილს და C-ს ალბათ არ ესმის თუ რა არის დალატი საზოგადო საქმეში. თუ შენ საზოგადო საქმეს ემსახურები და პატივსცემ, დალატათ ჩაითვლება ისეთი მოქმედება, როცა შენ ბოროტებას ხელს დაფარებ და მის გამაგრებას ეცდები. პირიქით, თუ ამ ბოროტებას გამოამჟღავნებ და მის თავიდან აცილებას ეცდები, თუნდაც ეს გამოამჟღავნება კერძო პირისთვის მანვებელი იყოს; ეს საზოგადო საქმისადმი სამსახური იქნება. ბ. ჯაფარაშვილი და მისი მსგავსნი ალბათ ვერ არჩევენ საზოგადო ინტერესებს კერძო ინტერესებისაგან, და როცა კერძო

პირის წინააღმდეგ გამოდიან საზოგადო საქმის სიტყვისათვის, მას ეს დალატათ მიიჩნია. აი ბ. ჯაფარაშვილის და მის მსგავსთა თვალთა ხედვის ისარი! მართლაც, ქვეყნისათვის, მაგრამ არა საზოგადო საქმის, არამედ უკეთესი საქმისათვის გინდ თავისივე წრის, იმ პირის, რომელმაც საზოგადო საქმე თავის და თვის მახლობელთა პირად საქმეთ გადააქცია, რომელმაც უარყო საზოგადოების სამსახური და მხოლოდ თავის საკუთარი სურვილი გააბატონა. არა, ბ. ერისთავი ამ შემთხვევაში მოიქცა ისე, როგორც უნდა მოქცეულიყო ყველა პატიოსანი და სინდისიერი ადამიანი. მართა ის ფაქტი, რომ ანდ. ერისთავი გამოვიდა ბ. ზდანოვიჩის წინააღმდეგ დღით საგულისხმოა: მის მაგივრათ რომ გამოსულიყო ემერიკი, ჩიკვიძე ან ვინმე კვალელი, ამას არასოდეს ის მნიშვნელობა არ ექნებოდა. ისეთი კაცის კანდიდატურა, როგორც ამ შემთხვევაში ან. ერისთავია, რომლის წარსული შედარებით შეუბღალავია და რომელსაც თვით ზდანოვიჩის წრე თავისიანათ თვლიდა, მოწინააღმდეგესთვის პირდაპირ ზნეობრივი დამარცხებაა.

Habent sua fata libelli. ქუთაისის ინტელიგენტურ წრეს და მის წარმომადგენელს ბ. ზდანოვიჩსაც აქვთ თავისი ბედი. ერთხელ ესენიც ატარებდნენ ხალხის გულშემმატკივართა და მოკეთეთა სახელს, მაგრამ ყოველივე ჩანთქა დროთა ვითარებაში, ყოველივე ეს გაქრა, როგორც სიზმარა ღამისა. ვინ არიან დღეს ბ. ზდანოვიჩი და მისი მღმერთებელი „წრე“? რა აწერია მათ დროშაზე? ენაზე ამათ აკრიათ ხალხის ინტერესი და მისი სამსახური, ხოლო საქმით მისი მჩაგვრელები არიან, მათი სამარცხვინო დანიშნულება მხოლოდ გამოსარჩენი და მოხერხებულნი ადგილების ხელში ჩაგდებაა. და მართლაც ამ წრეს აღარაფერი აღარ დაუშიაგავს, არაფერს აღარ დარიდება, რომ ყოველგვარი გამოსარჩენი საქმე თავის ხელში ჩაეგდო: არც დანოსს (მიხეილის საადგილ-მამულო ბანკი), არც მოტყუილებას და მოყიდვას ის არ დარიდება, ოღონდ ყველა საზოგადო საქმე მას ხელში ჩაეგდო. და მართლაც ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკიდან დაწყებული ქალაქის გამგეობამდის ქუთაისში ყოველივე მის ხელშია დღეს, როგორც მრეწველთა საბჭო, ორივე საკრედიტო ბანკი ქუთაისში და ჭიათურაში. ამასთანავე გამოაშკარავდა, რომ იმათ მადას საზღვარი აღარ აქვს, მას ეს აღარ ყოფნის. საინტერესოა ის გარემოება, ხსენებულ წრეში, რომელიც ბ. ჯაფარაშვილის სიტყვით ყოველგვარ ბიწიერებას ებრძოდა, დღეს თავი მოუყრიათ და სოლიდარულათ მოქმედებენ ერთი მხრით ჩარჩი მრეწველები, როგორც არიან, მაგ. სოლ. წერეთელი, პეტრე წულუკიძე, კოტე ბაქრაძე და სხვ. და მეორე მხრით სიბნელის ისეთი წარმომადგენლი, როგორც არიან კიტა აბაშიძე, კ. თუმანოვი და სხვ. ყველა ამათი მებაი-რალტრე გამხდარა ბ. გ. ზდანოვიჩი. ამნაირათ ქუთაისის ინტელიგენციაში, რომლის სისპეტაკეში წინეთ იშვიათათ თუ ვანმე ექვს შეიტანდა, დღეს თავი მოუყრია საზოგადოების ყველა ქვემძრომ და საზიზღარ ელემენტებს. ვისაც თვალი აქვს ხედვად და ყურნი სმენად, ამიერიდან ეს დაფარული აღარ დარჩება. ამასთანავე ისეთი შემთხვევები, რომლებსაც ბ. ჯაფარაშვილი გაცემას და დალატს უწოდებს, ხსენებულ წრეში თანდათან უფრო განშირდება. არ გასულა ერთი წელიწადიც რომ ასეთ შემთხვევას ქალაქის გამგეობის არჩევნების დროს ქონდა ადგილი. ცოტათ თუ ბევრათ სინდისიერი პირები და ხალხის გულშემმატკივარნი, რომლებიც ყოველგან მოიპოვებიან, ამნაირ გათახსირებას ვეღარ შეუ-რიგლებიან, და იას. ბაქრაძესავით და ანდ. ერისთავით შესწყვეტენ ხსენებულ წრესთან ყოველგვარ კავშირს და იგი

თანდათან გაიხრწნება და ამასათანავე მისი მიმართულება და ხასიათიც უფრო და უფრო აშკარა შეიქნება.

გარეშე მეთვალყურე.

(შემდეგი იქნება).

საპუბლიკო კითხვის უპუბლიკოთ დაბრუნება.

(შემდეგი.—ის. № 6).

ცერცვადის მოხსენების განხილვის შემდეგ უნდა მოესმინათ მოხსენება მუშათა დაზღვევის შესახებ, მაგრამ ზედისეხედ შავ ხალხზე ლაპარაკით რომ გული არ წასვლოდათ, ჯერ სტიპენდიების შესახებ მოხსენების განხილვას შეუდგენ, ასე რომ მოხსენებაც მუშათა დაზღვევის შესახებ სხდომის ბოლოში მიადგეს. ეს მოხსენება წაიკითხა თავ. ივ. ნიჟარაძემ, რომელმაც, სანამ კითხვას შეუდგებოდა, გამოაცხადა, რომ ეს მოხსენება სხვათა შორის «მხარამისთვის წაუკითხა». მოხსენებებიდან ვტყობილობთ, რომ შავი ქვის მწარმოებელთა მესამე კრების დადგენილებით შავი ქვის მუშები დაზღვეულნი არიან კერძო საზოგადოებაში — „როსიაში“. ორა წლის პრაქტიკას (1901-2) დაუმტკიცებია უვარგისობა ასეთი დაზღვევისა, რადგან ამ წლის განმავლობაში ქიათურის მადნებში 30 უბედური შემთხვევა ყოფილა და ამ რიცხვში მხოლოდ ექვსიოდე მუშას მიუღია ჯილდო. მუშა მთლათ უნდა დავარდნილიყო, რომ მისთვის რაიმე ჯილდო მიეცათ, მერე ისიც რა ჯილდო? ერთ დაშავებულს, რომელსაც ფეხები მომტვრევია, მორჩენის შემდეგ მხოლოდ ჯოხებით შესძლებია სიარული და ამნაირათ ინვალიდი გამხდარა, მიულრა ერთდროებით ჯილდოთ მხოლოდ 150 მანათი. ერთი მოკლეული მუშის ოჯახისათვის პრემიათ მიუციათ 500 მანათი. მორჩა და გათავდა. სულ დაზღვევ საზოგადოებას დაზარალებულ მუშათა სასარგებლოთ გაუცია 1.665 მან., თითონ კი მიღებული ქანია 11.582 მან. და 35 კ. დასასრულ ჯილდოები საზოგადოებას ძალიან გვიან გაუცია ხოლმე—3-4 თვის შემდეგ დაშავების დღიდან. მოხსენება წინააღმდეგია ასეთი საზიზღარი ექსპლუატაციისა კერძო საზოგადოების მხრივ მუშების ხარჯზე და რომ მუშების დასაზღვევი თანხა მთლათ მუშებსავე ხმარდებოდეს, ამისათვის საჭიროთ ცნობს შემოღებულ იქმნას საურთიერთო დაზღვევა, დაზღვევი თანხა შენახულ იქნას საკრედიტო დაწესებულებაში, ხოლო პრემიები კი გასცეს ხოლმე მწარმოებელთა კრებას საბჭომ. მოხსენება ტამის ცემით დააჯილდოვებს, ხოლო ბ. ჟღენტმა კი განაცხადა: მოხსენება ძალიან კარგია, მაგრამ მადლობა მის ავტორს, ბ. მახარაძეს, უნდა გადაუხადოთ და არა ნიჟარაძესო. არც ნიჟარაძეს და არც მახარაძეს, რომელიც იმ დროს იქ იმყოფებოდა, ამაზე არაფერი შეუნიშნავთ. საქმე იმაშია, რომ თ. ნიჟარაძეს გამოურთმევია ფ. მახარაძისათვის ვრცელი დასაბუთებული მოხსენება ქიათურის მუშათა დაზღვევის შესახებ ვითომ იმ აზრით, რომ ესარგებლა მითი ამავე საგნის შესახებ მოხსენების შედგენის დროს, და თან დაპირებია ავტორს: ჩემი მოხსენების წაკითხვისწინ გამოვაცხადებ ამ გარემოებასაო, მაგრამ მას იმის მაგივრათ, რომ მხოლოდ ესარგებლა ბ. ფ. მახარაძის მოხსენებით, შეუპოკლებია, დაუმახინჯებია იგი და ამ სახით გამოიტანა კრების წინ თავის საკუთარ მოხსენებათ, ხოლო წაკითხვის წინ კი, როგორც ზევით დაინახეთ, მხოლოდ ის გამოაცხადა, რომ ეს მოხსენება, სხვათა შორის, მახარაძეს წაუკითხებო. ასეთი შარლატანობა თ. ნიჟარაძეს, რასაკვირველია, თავისთვის რეკლამის გასაკეთებლათ ჩაუდგინა: შემომხედეთ რა „ქნიაზი“ ვარ—საწყალი ხალხისთვის მეც როგორ გული მიჩქროლავსო, მაგრამ, თვისდა საუბედუროთ, სულ სხვა მიზანს კი მიადწია. აი რა გულ შემატკივრების ხელშია ქიათურელი «საწყალი ხალხის» ბედ-იღბალი.

შეუდგენ მოხსენების განხილვას. ბ. ზდანოვიჩმა ენერგიულათ მოითხოვა კერძო საზოგადოებაში მუშათა დაზღვევის დატოვება. ის გაძხოდა ორი წლის პრაქტიკის გამოცხადებას არ არის დაზღვევის არსებულ ფორმის უვარგისობის დასაბუთებლათ, ჯერ კიდევ მოვიცადოთ და ვნახოთ კიდევ ჩაყლაპავს თუ არა კერძო საზოგადოება მუშების ფულსო. რაც შეეხება საურთიერთო დაზღვევას, მისთვის დიდი თანხა საჭირო და მწარმოებლებს როგორ შეუძლიათ თავიანთ მუშებისათვის ამდენი ხარჯი გაწიონო. ამ 2—3 წლის წინათ, როცა ქიათურაში სულაც არავითარი პრაქტიკა არ ქანია მუშათა დაზღვევას, ბ. ზდანოვიჩს თვალწინ ედგა სხვაგან არსებულ კერძო დაზღვევის არა სასურველი პრაქტიკა, და მაშინ მისთვის მარტო ეს პრაქტიკაც სრულიათ საკმარისი იყო, რომ შავი ქვის მწარმოებელთა მესამე კრებაზე ასეთი დაზღვევა „ბოროტებათ“ ეცნო, დღეს კი, როცა ამ გარეშე პრაქტიკას შინაურიც მიემატა, ბ. ზდანოვიჩისათვის ეს ორკეცი პრაქტიკაც კი საკმაო არ არის არა თუ ბოროტებათ, ბოროტების ნასახათმინც აღიაროს კერძო დაზღვევა. ამ ვაჟბატონმა კარგათ იცის და ეს მან დღეიანდელ კრებაზედაც გამოთქვა, რომ კერძო საზოგადოებაში დაზღვევის პირობები ყველგან ერთი და იგივეა; მეორე მხრით ამავე ვაჟბატონმა ისიც კარგათ იცის, რომ ასეთი საზოგადოება ყველგან მხოლოდ მოგების ასახვეტათ კისრულობს მუშების დაზღვევას მაშასადამე მას ბევრი ლარი და ხაზი არა სჭირია იმის დასახათ, რომ კერძო საზოგადოება „როსიაც“ მხოლოდ მოგების ჩასაჯობავათ დებულობს ქიათურის მუშათა დაზღვევას. დიახ, ყველაფერი ეს მშვენივრათ მოეხსენება ჩვენს სასიქადულ მოღვაწეს, მაგრამ მას კიდევ უფრო შვენივრათ ის მოეხსენება, რომ ქიათურის მუშათათვის საურთიერთო დაზღვევის შემოღება დღეს სასარგებლო იქნება მხოლოდ მუშებისათვის, ხოლო საზარალო იქნება მწარმოებელთათვის და კიდევ უფრო „როსიის“ საზოგადოებისათვის; და რადგან ის მზათ არის ქიათურის მწარმოებლებს და „როსიას“ არა მარტო ქიათურის, მთელი ქვეყნის მუშებიც კი ანაცვალოს, ამიტომაც ასე ურცხვათ უარყოფს იგი საურთიერთო დაზღვევის შემოღებას. ან კი რას გამოადგება ბ. ზდანოვიჩი ჯიბეგაფხეკილ მუშებს მაშინ, როდესაც ჯიბე-სქელ მწარმოებელთაგან და „როსიის“ საზოგადოებისაგან მას ყოველთვის იმედი აქვს საკუთარი ჯიბეც ლაზათაანათ გაისქელოს, თუმცა, რასაკვირველია, ისევ და ისევ მუშების ხარჯზე?! ოღონდ როგორც ისევ „როსიის“ ხელში კი დარჩენილიყო ქიათურის მუშათა დაზღვევის საქმე და ბ. ზდანოვიჩმა ამის გულისათვის თავის თავზედაც კი დაიბრალო ის გარემოება, რომ ხსენებულ საზოგადოებას დაშავებულ მუშებისათვის ჯილდო ძალიან გვიან-გვიან უძღვებია: ჩვენ გვიან ვაწვდიდით მას ცნობებს დაშავების შედეგის შესახებ და ასეთი ცნობების მიწოდებამდე კი მას არ შეეძლო პრემიების გაცემაო. მაგრამ მეორე მხრით ბ. ზდანოვიჩი ამაშიაც თავს იმართლებდა იმით, რომ სანამ დაშავების შედეგი არ გამოირკვეოდა, არავითარი ცნობების მიწოდება არ შეიძლებოდაო; ამისათვის კი დრო და ხანი იყო საჭირო, სანამ მუშა არ მორჩებოდა; ხან კი დაშავებულ მუშის მოძებნა ძნელდებოდა, რადგან ის დაშავდებოდა თუ არა, მაშინვე თავის სოფლისაკენ მიასურებდაო; და როცა ბ. ჯიბინაძემ განაცხადა: მუშებისათვის რომ კარგათ აგეხნათ მათი დაზღვევა და მისი მნიშვნელობა, აგრე აღარ მოიქცეოდნო, ბ. ზდანოვიჩმა თავი იმით იმართლა, რომ ჩვენ მწარმოებლებს უკვე წინადადება მივეცით გამოეცხადებიათ თავიანთ მუშებისათვის მათი დაზღვევაო. თითქო შეუძლებელი იყო ამ საქმეში უფრო საიმედო და უფრო ენერგიულ ღონისძიების ხმარება. ამას გარდა ბ. ზდა

ნოვიჩმა განაცხადა: 20 უბედური შემთხვევის საქმე ჯერ კიდევ წარმოებაშია და ვინ იცის კიდევ რამდენ ჯილდოს გასცემს „როსია“, მაგრამ მისთვის განა აშკარა არ არის, რომ თუნდა „როსიამ“ ოთხი იმდენი ჯილდოც გასცეს, რაც უკვე გაუცაა, მაინც ზორბათ დაიტოვებს მოგებას. *) ასეთი ხრიკიანი საბუთებით იმართლებდა და იცავდა თავს ბ. ზდანოვიჩი იმ ბრალდებისაგან, რომ მას მუშებისათვის არა თუ არაფერი გაუკეთებია, დიდი ზარალიც მიუყენებია, და არც არაფერი სურს გააკეთოს მათ სსსარგებლოთ. უფრო სწორეთ რომ ვთქვათ, ის თავს იცავდა თვით მუშებისაგან, მათზე ზრუნვისაგან და ამიტომაც მას ერთი სიტყვაც არ დასცდენია მათ სსსარგებლოთ, თუმცა სხვა შემთხვევებში ის შეუდარებელი მქვერმეტყველი ბრძანდება ყოველთვის, და მით უფრო გვერდიდა. ზიზღს მისი ასეთი უსირცხვილო დამუნჯება მშრომელ ხალხის ინტერესების შესახებ, რომ ერთ მის სიტყვას, მისი ბრმა მოთაყვანე უმრავლესობისაგან შეურყეველ მცნებათ მისაჩვენებს, შეეძლო ბევრი რამ სსსარგებლო დადგენილება გამოეწვია მუშა ხალხისთვის. აქვე საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ როცა კამათი მუშათა ინტერესებს შეეხებოდა, ეს ვაჟბატონი ხშირათ ეთანხმებოდა და იშვიათათ ეწინააღმდეგებოდა თავის მუდმივ და დაუძინებელ მოწინააღმდეგეს ბ. ემერიკს. სხვათა შორის, მაგალ., ის აზრი, რომ დაზღვევის ამა თუ იმ ფორმის აკარგიანობის დასამტკიცებლათ მარტო ორი წლის პრაქტიკა არ კმარა, პირველათ სწორეთ ბ. ემერიკმა გამოთქვა, ხოლო ზდანოვიჩი კი მხოლოდ დაეთანხმა ამ აზრს და შემდეგ წარა-მარა იმეორებდა. ერთი სიტყვით, ოღონდ მუშათა ინტერესები კი ბ. ზდანოვიჩს ფეხ ქვეშ გაეთელა და ის მზათ იყო თავის მოსისხლე მტრისთვისაც კი ხელი გაეწოდა სამეგობროთ. ის კი არა და ზდანოვიჩს საურთიერთო დაზღვევის წინააღმდეგ ბრძოლაში თითქმის მარტო ემერიკი უმშვენივრდა მხარს. ეს საინტერესო ბურჟუა ამტკიცებდა, რომ „როსიას“ მიერ ჩაყლაპული მუშათა ფული სამართლიანათ ეკუთვნის მას, რადგან მქათათ ხომ არ ამუშავებს (?) ეს საზოგადოება; ხოლო საურთიერთო დაზღვევას ვერ შემოვიღებთ იმიტომ, რომ ვინ იცის, როგორ განშირდება უბედური შემთხვევებია და მაშინ ბევრი ჯილდოს გაცემა დაგჭირდება. ნურც აგრე გულ უხვები გავხდებით, დავითვალთ ჩვენი ჯიბეები და დავრწმუნდებით, რომ მუშათა საურთიერთო დაზღვევისათვის ფული არ გვეყოფა. საზოგადოთ, „ფული არ გვეყოფა“ მხოლოთ მაშინ გაიძახდენ, როცა ვინმე მუშებს სსსარგებლოთ მოითხოვდა მის დახარჯვას, სხვა შემთხვევაში კი ფულის არყოფნის შესახებ კრინტიც არავის დაუძრავს და ყოველთვის მზათ იყ-

*) რას წარმოადგენს მუშათათვის საზოგადოება „როსია“, ამის დაწინააღმდეგელებს შემდეგი შემთხვევები შეუქალა, რომელიც მოყავს გავ. „რუს. ველ.“-ს. ამას წინათ იუზოვიჩის მანკლობათ ერთ მაღაროში 58 მუშა დაატუა, რომლებიც დაზღვეულნი იყვნენ „როსიის“ საზოგადოებაში. ამ საზოგადოებაში, ამბობს ხსენებული გავ. მიმართათ თავის ჩვეულებრივ წესს—ჯილდოს გაცემას დაგვიანებას იმ იმედით, რომ ასეთი საშუალებათ მუშებს ოჯახებს აიძულებდა ნაკლებ ჯილდოს დასჯერებოდნენ. მადნის პატრონმა დეკემბით თხოვა შინაგან საქმეთა, იუსტიციისა და სახელმწიფო ქანებათა საინსტრუქციებს აიძულეთ, „როსია“ ჯილდოები გასცეს, თორემ ამდენი ხანია მს თავისი წარმომადგენელიც კი არ გამოუგზავნია მადნებში მუშების დაღუპვის გამო. ამნართათ საქროთ ხდება საინსტრუქციის დახმარების თხოვნა, რომ საზოგადოებამ „როსიამ“ ასეთი საშინელი დაზარალების დროს მუშათათვის თავის დროზე ფული გაიმეტოს. რაღა უნდა ხდებოდეს ჩვეულებრივ პირობებში, როცა ჯილდოსათვის საზოგადოებას მუშათა ოჯახები მიმართავენ ხოლმე? კითხულობს „რუს. ველ.“ და სხვათა შორის ამბობს: დამზღვევი საზოგადოებანი თავის სსსარგებლოთ 50 პროცენტს იჭერენ მუშათა დასაზღვევ ფულიდან. აი რა საზიზღრობის ჩამდენ საზოგადოებას ექონებება და აპართლებს ბ. ზდანოვიჩი. ს. ნ.

ვენ ათი და ასიათასობით გადაედგათ ფული თავანთი საქროების დასაკმაყოფილებლათ. როცა მუშათა დაზღვევაზე ლაპარაკით ფული შეგროვდებოდა (და ეს კატასტროფა კისულ მალე მოხდებოდა, მის თხოვრებლათ მოსაშორებლათ მოითხოვდნენ ეგ კითხვაც კომისიას გადაეცემოდა და ყველაზე უფრო თავგამოდებით ეს ბ. ზდანოვიჩმა მოითხოვა. უეჭველია, მკითხველი გაიხსენებს, რომ როცა კითხვა სასადილოების გამართვის შესახებ კომისიისთვის უნდოდათ გადაეცათ, მაშინ ბ. ზდანოვიჩი დიდა წინააღმდეგი გაუხდა ასეთ განზრახვას. მაშ დაზღვევის შესახებ კითხვა კი მან საქროთ რათ დაინახა კომისიისთვის გადაეცათ? ამას ჩვენისთანა უბრალო მომაკვდავი აგრე ადვილათ ვერ მიხვდებია, ჩემო მკითხველო! მაგრამ შეიძლება იმით კი მიხვდეთ, თუ გავიხსენებთ რომ ბ. ზდანოვიჩს იმედი ქონდა—კომისია მაინც არაფერს გააკეთებოდა, ყოველ შემთხვევაში შემდეგ მორიგ კრებამდე არა იქნება რაღა და ამ ხნის განმავლობაში კი საზოგადოება „როსია“ კიდევ ბლომათ ასწაპნისო. ის იყო კომისიის არჩევას აპირებდენ, მაგრამ ამას ხელი შეუშალა ბ. პ. მდივანმა, რომელმაც ცხარე პროტესტი გამოუცხადა: ნეტა რას ნაშნავს, რომ ასეთი სერიოზული კითხვის განხილვას სხდომის ბოლოში მოავდებთ ხოლმე და შემდეგ კი თავიდან იშორებთ კომისიაში გადაცემითო. ამაზე ბ. ზდანოვიჩმა გამოაცხადა: მაგ კითხვას მეტი შემუშავება-დასაბუთება ესაჭიროება, ეგ ძალიან ძნელი გადასაწყვეტი კითხვაა და ჩვენ ამ ერთ კრებაზე ამა როგორ შეგვიძლია გადაწყვიტოთ, როდესაც ვგვევ კითხვა საშორეთ რუსეთის მთამადნის მწარმოებელთა კრებას ეს სამი წელიწადია ვერ გადაწყვიტია. ბ. ზდანოვიჩი რომ უფრო გულ ხდილი ყოფილიყო, აღიარებდა, რომ მთამადნის მწარმოებელთ ეს სამი წელიწადია არ სურათ ხსენებული კითხვის რიგინათ გადაწყვეტა და ჩვენ კი ნეტა რათ უნდა გვსურდესო. გარდა ამისათუ კი შავი ქვის გადასატან ტარიფის შემცირების შესახებ შესაძლებელი იყო ვრცლათ დასაბუთებული მოხსენება წარმოედგინათ, რომ ამ კითხვის ხელმეორეთ კომისიაში გადაცემა საქროთ არ გამხდარიყო და ამით მისი გადაწყვეტა არ დაგვიანებულიყო, ნეტა მოხსენებამ მუშათა დაზღვევის შესახებ რაღა დააშავა, რომ მისი ბედ-იღბალი ვილაც „გნახის-სათვის“ მიუხდენათ, რომელსაც არც არაფრიათ გავგება და არც არაფრათ ეინტერესება ეს საგანი? რა დააშავა ამ კითხვამ? ის, რომ მისი გადაწყვეტა ერთ გრომსაც არ მატებს მწარმოებელთა ჯიბეს, პირიქით დიდ ხარჯებს თხოულობს მათგან, ხოლო ტარიფის შემცირება კი „ოქროს მთებს“ უქადის მათ.

თითქო ფუქათ არ ჩაუარა ბ. პ. მდივანს მისმა პროტესტმა და კრების თავმჯდომარემ ხსენებულ კითხვაზე ლაპარაკი მეორე დღისთვის გადასდო, მაგრამ ასეთი ვალალება მხოლოთ ცარიელი თვალთმაქცობა აღმოჩნდა და მეორე დღეს, კითხვის განხილვის მაგივრათ, მხოლოთ ისევ კომისია ამოიჩინეს, რომელსაც სინდისის გასაწმენდათ დააყალბეს ამ საგნის დაწვრილებით განხილვა-შემუშავება და გადაწყვეტა იმ პირობით კი, რომ თუ კერძო საზოგადოებაში დაზღვევა მეტათ უვარგისათ ცნო, შესწყვიტოს ასეთი დაზღვევა და დროებით სხვანიირი დასაზღვევი ღონისძიება იხმაროს, ხოლო კითხვის საბოლოოთ გადაწყვეტა კი მომავალ მორიგ კრებას დაუთმოს. ამ კომისიაში წევრებათ ისეაები შევიდენ (იგივე თავ. ნიჟარაძე ძოწენიძე, ბაქრაძე და მისთანანი), რომელთაც მუშათა დაზღვევა ისე აინტერესებთ, როგორც მე და შენ, მკითხველო შარშანდელი თოვლი და ისე ესმით ეს საგანი, როგორც თავ. ნიჟარაძეს, ასე რომ მწარმოებელთ და მათთან ერთათ ბ. ზდანოვიჩსაც შეუქლიათ სრული იმედი

იქონიონ, რომ ეს საგანი მომავალ მოზღვრე კრებასაც ისევ ისევ შეუძლებელი წარუდგება, როგორც ღღეს არის.

როგორც კი მუშათა დაზღვევის საქმეს კომისიაში, ანუ უკეთ არხივში, უკრეს თავი, დასაძინებლათ გამხადებული თვალები ყველამ სიხარულით დაქუცა, წელში გასწორდენ, თითქო ზურგიდან რაღაც მძიმე ტვირთი გადაიგდესო, თავისუფლათ ამოისუნთქეს და წამოცოცხლდენ. მოიშორეს თუ არა თავიდან შავი ხალხის საქმეები, ისევ თავიანთ საკუთარ საქმეებს დაუბრუნდენ და ყველანი ჩიტებივით აქიკაკდენ, სულ უბრალო კითხვას, მაგ., კითხვას იმის შესახებ, თუ რომელ თვეში მოხდეს ხოლმე მათი კრება, დიდა ინტერესით და გატაცებით არჩევდენ და წარმოიადგინეთ კანდიდატები ბ. ს. ქვარიანისა: როცა ყველანი ასეთი ერთსულოვნობით და გულდადებით ბაასობდენ თავიანთ საქმეებზე, ამ თავხედმა ვაჟბატონმა აკი ისევ შავი ხალხის კითხვა ჩააჩხირა კამათში და მით ყველას ისევ გული მოუწამლა. საქმე იმაში იყო, რომ, როდესაც იხილავდენ კითხვას—თუ ვის უნდა ქონდეს ჩვენს კრებებზე ხმის უფლება, ამ ვიდაც ახირობულმა ფანტაზიორმა მოაახოვა: მივცეთ სათათბირო ხმის უფლება მუშებისა და ჩაღვადრების წარმომადგენლებსაცო. პირველათ ყველას ენა ჩაუკარდა ელღასგან, შემდეგ ერთმა გულკეთილმა და თან გულუბრყვალმა მოხუკმა ბ. კიკნაძემ გაბედა განეცხადებია: მართლაც და რატომ არ უნდა მივცეთ ხმის უფლება მუშების წარმომადგენლებს, როდესაც ჩვენ აქ მათ ბედობლად ვწყვეტთ, მაგრამ ბოლოს კი, როცა კრების თავმჯდომარემ დააყენა კითხვა: გასურთ თუ არა მიიღოთ ქვარიანის წინადადება, კრების დიდმა უმრავლესობამ ერთხმით და ხმაბლდა შესძახა: „არა, არაფრის გულისთვისო“. საინტერესო სურათს წარმოადგინდა მთელი ამ სცენის განმავლობაში ბ. ზდანიოვი: მან ამ დროს პირში წყალი ჩაიგუბა და ისე გაირინდა, რომ კრინტი არ დაუძრავს, და მით უფრო საგულისხმო, და თან მით უფრო ურცხვი იყო მისი ასეთი დადუმება, რომ სწორეთ ბ. ქვარიანის წინადადების წინ ეს ვაჟბატონი თავისებური სოფისტიკით და თვალთმაქცობით ენერგიულათ თხოულობდა: იმ ჩაჩქისაც ქონდეთ ხმის უფლება, რომლებსაც შავი ქვა ქიათურიდან ბათუმამდე, ან ფოთამდე ჩაქეთო. მერე იცით, რით ასაბუთებდა ეს „ფოკუსნიკი“ ამ მოთხოვნის საფუძვლიანობას? იმით, რომ ეს ჩაჩქისა განსაზღვრულ საზოგადოებრივ კლასს შეადგენენ, ცხოვრებაში არსებობენ და მაშასადამე მათ ანგარიში უნდა გავუწიოთო, ხმის უფლება უნდა მივცეთო. მაშ მუშებისათვის ამ უფლების მიცემის შესახებ კი ნეტა რათ დადუმდა ეს მეცნიერი?

კრების თავმჯდომარემ ბრძანება გასცა: მაგ საგანზე კრინტა აღარავინ დაძრას, ეგ ფანტაზიაა, ჩვენ კი საქმეზე უნდა ვილაპარაკოთო და გადავიდენ კიდევ „საქმეზე“.

ს. ნემეზილაშვილი.

შიათურის მარგანეცის მრავალთა კრება.

(წერილი რედაქციისადმი).

ბევრი რამ დაიწერა შავი ქვის მწარმოებელთა კრების შესახებ და ბევრიც აწი კიდევ დაიწერება. ეს ერთი თვე არის, რაც რომ კრება დაიწყო და გაზეთების ფურცლები ვერ იტევენ ცნობებს, და აგრეთვე მიზეზებს, რამაც გამოიწვია კრების გაგრძელება, მაგრამ ეს ცნობები და მიზეზები სავსებით ვერ ახასიათებენ ნამდვილს გარემოებას. ამიტომ მე, როგორც ერთი შავი ქვის მწარმოებელთაგანი, მოვასხნებთ. ვინ არ იცის რომ ღღეს, როცა რაიმე საქმის შესახებ კრება მოხდენ-

ბა შეუძლებელია და იშვიათა, საზოგადოება ორ დაბათ მინც არ გაიყოს. ამიტომ მკითხველნი ჩვენი ღღევანდელი ჟურნალ-გაზეთებისა, ქიათურის მარგანეცის მწარმოებელთა საზოგადოების ორ დასათ გაყოფის მიზეზს ვინ ვინ უნდა წინაშე გარემოებას არ მიაწერენ. მე ამით სრულებით ის არ მსურს ვთქვა, ვითომც მარგანეცის მწარმოებელთა კრება სხვა ხასიოთის იყოს, მაგრამ ჩვენი მარგანეცის მწარმოებელთა კრების ორ დასათ გაყოფის ისტორია კიდევ სულ სხვა არის. ქიათურაში, როგორც მოცხსენებათ მკითხველებს 180 კაცის მწარმოებლებისაგან შემდგარი არის „შავი ქვის“ საზოგადოება, რომლის ბატონი და პატრონი ღღევანდელი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ზდანიოვი ბრძანდება ეს ას ოთხმოცი კაცი, რომელთა შორის ერთი წევრი მეც გახლავარ, ისეთი გავლენის ქვეშ ვიმყოფებით ბ. ზდანიოვის მხრით ღღეს, როცა საბჭოს ცოდვების გამოსააშკარებლათ საყვირი დაკრეს და შეკრებით ყველამ დაინახეთ, რომ ჩვენ ყველანი ბ. ზდანიოვის გავლენის ქვეშ ვყოფილავთ. ამ გავლენამ გვაიძულა გონივრული სიმდაბლვ გამოგვეჩინა და სარევიზიო კამისიას, რომელიც ყოველ დაწესებულებაში საზოგადოების სარკვა, ჩვენი საქმის გაცნობისათვის (როგორც გვასწავლეს ისე) აგიტატორები დაუძახეთ.! უფრო ვრცელი მოსაზრება რომ იქონიოს კაცმა იმაზე, რომ უმეტესობა შავი ქვის მწარმოებლებისა ისეთი უმეტარნი არ არიან, რომ სარევიზიო კამისიის მნიშვნელობა არ ესმოდეთ, მაგრამ იძულებულნი ყოფილან უკუ ეგლოთ ის სარკვე, რომელიც მათ სარევიზიო კამისიამ წარმოუდგინა. ეს იმითიც აისხნება, რომ „შავი ქვის“ ამხანაგობის წევრნი იბახიან—შავი კენჭი რომ ჩაუგდოთ ბ. ზდანიოვის, ჩვენს ვექილს, ვაი თუ ბერლინელ სინდიკატს ჩაუგდას ჩვენი თავი ხელში, ან მან თვით ვექილებზე პროტესტი გავვიკეთოსო და ამიტომ შეშინდენ.

ასეთმა მართლაც რომ საშიშმა (შავი ქვის ამხანაგობის წევრთათვის), საქმეების ვითარებამ უმეტესობას დავთარი დაუბნია და კრებებზე, როცა რომელიმე საკითხის გადაჭრის დროს ბ. ზდანიოვი და ემერიკი ერთმანეთს ეთანხმებოდენ, საზოგადოება (შავი ქვის ამხანაგობის წევრნი) ამ შემთხვევაშიაც-კი ყოველ ემერიკის წინადადებაზე გაიძახოდნენ: „არ ვარგა—არ გვინდა,—არ გვინდა-ო“. ამანირათ ბ. ზდანიოვი იძულებული ხდებოდა ხელმეორეთ აეხსნა საზოგადოებისათვის, რომ ის თვით ეთანხმება ემერიკს.

მე ზევით მოვასხნენ მკითხველებს ერთა შიმ მიზეზთაგანი, რისთვისაც სარევიზიო კამისიის მოხსენებას კრების უმეტესობამ სხვანაირათ შეხედა; და მეორე მიზეზი ამის ისიც ვახლავს, რომ სარევიზიო კამისიაში ერთ მართებლობის წარმომადგენელ წევრად ბრძანდებოდა სამთო ინჟინერას თანამემწე ბ. მარკოვსკი, რომელსაც თავის სამსახურის გამო ჩვენი მრეწველობის უმეტესობასთან განწყობილება არ შეუძლია იქონიოს, რასაც ადგილი აქვს ბ. ზდანიოვის შესახებ, როგორც წარმომადგენელის „შავი ქვის“ ამხანაგობისა. შავი ქვის მწარმოებელთა კრების შესახებ ბევრი დაიწერა და კიდევ დაიწერება მეთქი, მაგრამ ამითი მე მინდა დავამტკიცო, რომ კვალელების ეხლანდელა წერალები ამ კრების შესახებ სიმართლეს მოკლებულნი არ არიან. ამასთან არ შემიძლია არ ვსთქვა ისაც რომ ბ. ზდანიოვის შავი ქვის ამხანაგობის მმართველთაგან გდაუტა, შავი ქვის ამხანაგობის საქმეც კარვად წავიღოდა და საბჭოც მეტ ნაყოფს მოუტანდა საზოგადოათ შავი ქვის მწარმოებლებს, მაგრამ გამოვა თურმე ისეთი კაცი, რომ ორ ნესეს კი არა, ათსაც დაიჭერს ხელში.

„შავი ქვა“ წევრთაგანი.

წერილები რედაქციის მიმართ.

ქ-ნო რედაქტორო!

I

უმორჩილესათ გთხოვთ მისცეთ ადგილი თქვენ ჰატივრემულ გაზეთში ამ რამდენიმე სტრიქონს, რითაც დიდათ დამავალბეთ.

საზღვარ-გარეთ წასვლის წინ კალათ ვრაცხ უღრმესი მ-დლო-ბა გადავუხადო ქართველ საზოგადოებას, რომელმაც ასეთი გულ-მტკივნეულობა გამოიჩინა და მომცა შეძლება თავი განვიკურნო ჩემი სენისაგან. დმერთსა ვთხოვ მომეცეს შეძლება, რომ დაბრუნებისათვისავე გავაგრძელო ჩემი საზოგადოებისათვის ს.მ.სახურა, რასაც ჩემს ზნეობრივ მოვალეობათა ვსთვლი. უმორჩილესათ ვსთხოვ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს ჩემი წერილი.

ქართული სცენის მსახიობი ვლ. ალექსი-მესხიშვილი

II

უმორჩილესათ გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენს გაზეთში ამ ჩვენ საერთო თხოვნას: ქუთაისის ქართული დრამატიული დასი უმორჩილესათ სოსოკის ეკვლას, ვინც იხილებს შემწეობის სული გაწვედნის საზღვარ-გარეთ გამგზავრებულ სამკურნალოთ ავადმყოფთ არტიკლს ვლ. ალექსი-მესხიშვილს, მიმართონ თავიანთი წვლილით ადგილობრივ რედაქციებს, ან იკახე ისაკიას ძეს ზურაბდვს. ვთხოვთ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს ჩვენი თხოვნა.

ქუთაისის ქართული დრამატიული დასი.

III.

ქ-ნო რედაქტორო! ნება გვაბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლოდ შევსწიროთ ბ-ნ ლუკაან გურგენაძეს სარაძეს, რომელმაც ჩვენ სკოლას გამოუწერა სუმაწვილო ყურნალი „კვალი“ 1902 წ.

ბელაგორის საქალაქო სამინისტრო სკოლის მასწავლებელი ნეოლინა ან. ქლენტი.

IV

ქ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენს ჰატივრემულ გაზეთის „კვალი“-ს საშუალებით ავადიარას ქართველების მსრივ უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას“ რომელმაც თვითონ (ერთი წლის გამომავლობაში) 10 მანეთით შეძლება აღმოუჩინა ავადიარას ქართული სკოლას მასწავლებელს, მისი ნიუთაური მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ.

ამასთანავე, უგულოთადეს მადლობას უძღვინი იგივე ქართველობა ვაგვაგვის გიმნაზიის მასწავლებელს ბ. ტიტე ბენედიკტისძე კახიძეს, რომელიც არ ზოგავს თავის შრომას და ეოკულის მხრით ზრუნავს ავადიარას ქართული სკოლას წინმსვლელობისათვის.

ქართველების მონდობილობით მასწ. ერმალა სირბილაძე.

ალაგორი 29 იანვარი.

„კვალის“ ფოსტა.

მამთიან-დათიკას
მოსკოვი-ნ. ნ-ძეს
ქუთაისი-გურულს

ი. მომთვარას
ვ. მაღაქიაშვილს
უკაძარიანს
ილია კალანდაძეს
რ. ფარცხ-შვილს

თბილისი-წყაროსთავულს
ეკარელი-ა. ბაქ-ძეს

ს. რემონიძეს. „კალანდა დილა“ არ დაიბეჭდეს.

სოსიანტრეს. „გზაში“ და „ზოგიერთების საყურადღებოთ“ არ დაიბეჭდეს.

დ. ქარცაძეს. „ბავშვურ გასწორების შესახებ“ არ დაიბეჭდეს.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი.

ქართული

საბოლოოვიკო, სამეცნიერო და საზოგადოებრივი ნახატბიანი გაზეთი

„კ ვ ა ლ ი“

(წელიწადი მეოთხეტი)

გამოვა 1903 წელსაც ყოველ კვირა დღეს 1—3 თაბახამდე. გაზეთი წლიურათ ღირს თფილასში 7 მან., თფილისს გარეთ 8 მან., ნსუკარი წლით თფილასში 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ 4 მან., ხლოდ სპა თვით 2 მან. თათო ნომერი სპ შაურათ. ადრესის გამომცვლა თფილისს გარეთ ღირს ორ მანათ.

ხელას მოწერლებს შეუძლიათ წლას ფულა ნაწილ-ნაწილათაც შემოიტანონ.

სელის მოწერა შიადება: თფილასში, წერა-კითხვის საზოგადოების განცვლარაში (სასახლას ქუჩა, თავად აზნაურობის ქარვასლას); რკინის გზის სადგურზე შირველა კლასის ბუფეტში, ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში.

ქუთაისში: მიტროფანე ლადაქესთან, ვ. ბუქსიაშვილას წიგნის მაღაზიაში და ქუთ. გამომცემელ ამხანაგბის კიოსკიში; ბათუმში სპირიდონ ჭელიძის წიგნის მაღაზიაში; ოზურგეთში და ახალსენ-ნაქში—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში; ჭიათურაში—კალისტრატე ჭიჭინაძესთან და გენასიმე ბერაქესთან; უკრაინაში—ივანე ანდრეაშვილთან; დაბა ხანში—სასახლო სამეთაურველში; ძველ-სენაქში—ანსენ წითლიძესთან; ოზურგეთში—დომენტი შავაშვილთან; სპუნხაში—დიმიტრი მელაქესთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „КВАЛИ“.

ნ ა თ ი ც ი ვ ე ქ ი ლ ი ს თ ა ნ ა მ ე მ წ ე
კონსტანტინე იოსების ძე ჯაფარიძე
განავიდა სუდენსი ქუჩაზე სახლი გამაზოვისა № 56.
(2—2)

გამოვიდა და იხილება

ყველგან „ქართვ. შორის, წერა-კით. გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

I. ზოდბერი.

გუნების ცოდნა.

26 სურათით.

თარგმანი ზ. სურგულაძისა. ფასი 25 კაპ.

II. ი. გოგებაშვილი.

ასპინძის ომი.

ისტორიული ამბავი. ორის სურათით და ქარტით. ფასი 7 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც. ადრესი: Тифлисъ. Общество распростран. грамотности среди гузинъ.

ქართულ ღრამატიულ საზოგადოების გამგეობა

აუწყებს საპრემიოთ წარმოდგენილ

პიესების ავტორებს.

რომ არც ერთი პიესა არ იქმნა ჰრემიით დაჯილდოვებული და დღეიდან ორის თვის განმავლობაში ავტორებს შეუძლიათ მოიკითხონ და უკანვე მიიღონ პიესები, ყოველ დღე დილის 11-დან 1-ს საათამდე; უნდა მიმართონ საზოგადოების კანტორაში ადმინისტრატორს ნახუცრიშვილს.

(3—2)